# დროება

№ 176 — კვირა, 9 აგვისტო 1909 წ. — № 176

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და ყასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაწუნებულ და მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელს არ იბეჭავენ. ინახება ერთის თვით მხოლოთ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭВА».

ცალკე ნ.ომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

### სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ აგვისტოდან წლის ბოლომდე—4 მ. 40 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.


6 აგვისტოს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ მეტეხის ციხეში გარდაიცვალა მეორე სახ. სათათბიროს ყოფილი დეპუტატი და ჩვენი გაზეთის თანამშრომელი

### სევერიან მოსეს ძე ჯუღელი,

რასაც ღრმად შეწუხებული ყოფილი თანამშრომელნი გაზ. „ჩვენი აზრისა" აუწყებენ ნაცნობებს და ამხანაგებს. მიცვალებულს გამოასვენებენ 9 აგვისტოს დილის ცხრა საათზე თუმანოვის ქუჩიდან № 26, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში და აქედან კუკიის სასაფლაოზე. (2—2)

6 აგვისტოს მეტეხის ციხეში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მეორე სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატი

### სევერიან მოსეს ძე ჯუღელი,

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და ამხანაგთ მეუღლე განსვენებულისა **ალექსანდრა სიმონის ასული ჯუღელისა და შვილები: მარგარიტა, ნორა. სონა და ვალენტინა.** და ამხანაგები განსვენებულისა დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 9 აგვისტოს დილის 9 საათზე. გამოასვენებენ ბინიდან (მეორე თუმანოვის ქუჩა, № 16). ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, იქიდან წირვა-პანაშვიდის შემდეგ წაასვენებენ კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2—2)

თავადნი **ირაკლი და იოსებ მელქისედეკის ძენი და მარიამ სარდიონ აგიაშვილის ასული წერეთლები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი—უძვირფასეს დედის ხოლო უკანასკნელი დედამთილის

### მზეხა გიორგი ჩიჯავაძის ასულის კნ. წერეთლისას.

პანაშვიდი ყოველ დღე. გასვენება ოერთმეტ ამა მარიობის თვეს დილის ათ საათზე დაბა საჩხერეში, სადაც დაიკრძალება საგვარეულო აკლდამაში. (2—404—1)

## ქართული წარმოდგენა

სათავად-აზნაურო საზაფხულო თეატრში კვირას, 9 აგვისტოს ქართულ დრამატ. საზოგადოების არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება

### ქმართა სკოლა

კომედ. 3 მოქმ. მოლიერისა, თარგ. ივ. მაჭავარიანისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ა. კარგარეთელი, ნ. მესხისა, ბ. ნებიერიძისა; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, კ. მესხი, შ. საფაროვი, ი. იმედაშვილი-ხაშმელი და სხ.

**ადგილების ფასი:** 30 კ.—1 მ. 50 კ. ბაღში შესასვლელი 20 კ.

**ვინც წარმოდგენის ბილეთს აიღებს, ბაღში უფასოდ შევა.**

ანტრაქტებში **სინემატოგრაფი და მუსიკა** პ. ფალიაშვილის ლოტბარობით.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე (1—1)

**ექიმ ვ. ღამბაშიძის**

## სანატორიუმი

გაიხსნა 15 ივნისს. არის რამდენიმე ადგილი მოზრდილთათვის საერთო ოთახებში.

დაწვრილებითი პირობები წერილით ბორჯომს.

Въ мѣст. Боржомъ. Платформа Гамбашидзе, Санаторіумъ Гамбашидзе. (0—24)

**ექიმი** კ. თ. ტუმშელაშვილი ქუთაისში

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, სამარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—32)

**კაბინეტი** კბილის საექიმო ა. ა. თათევოსოვისა

(ყოფილი თანაშემწე ლ. მტრეიზერისა) რაზიეშჩაის ქუჩა, სახლი N 19, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. იღებს კბილით და ღრძილით ავადმყოფებს დილით 9—2 ს., საღამოთი 4—7 საათამდე. (25—323—25)

**ექიმი** ა. ს. ალადაშვილი ბორჯომში,

ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიულ საფაკულტეტო კლინიკისა, იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 11—1 ს. საღამოთი 6—7 ს. ურუსოვსკის ქ., N 34, აგარაკი ზუბალაშვილისა. (25—321—25)

**ექიმი** კაკიტელაშვილი ქუთაისში

9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს სოლომონ ქუჩაზე, თაფურიძეულ სავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—37)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. გირიჩნო, N 9. (უ)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4. სახლი ჯაბაშვილისა. (უ)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ლ. სუხარევსკი

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდუროვის ქუჩა, სახლი N 14, ცემიძოვისა. (10—586—221)

**ექიმი** გ. მაგაკიანი.

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ქავჟანიძისა. (100—ზაქ.—8)



## თამბაქოს ქარხანა

### ნ. ი. ბოზარჯიანცისა შვ.-თ.

გამოვიდა ახალი პაპიროსები:

**„ტოვარიშჩ"—20 ცალი 5 კაპ.** (სამ. ფორმ.)

**„დრუჟბა"—20 ცალი 5 კაპ.** (წვრ. ფორმ.)

**შენიშვნა:** სავაჭრო სახლმა დაადგინა, ეს პაპიროსები სულ უბრალო ეტიკეტებით გამოუშვას, რომ ამით შეძლება მისცეს მომწევთ, იქონიონ ყოველთვის კარგის ღირსებისა და გემოს პაპიროსები. **მოითხოვეთ ყველგან.**

ნარდად მყიდველებისთვის შეკვეთილი საქონელი დამზადდება შეძლებისა და გვარად. (10—ნას.—3)

ახლად გახსნილი **ტფილისის**

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 696.

**ე. გ. ფელდმანოვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**გ. დ. ლაზზაშიძე**—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.

**ბ. ა. ბოპოვი**—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე **ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—128)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე $2^{1/2}$—$3^{1/2}$ ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე $1^{1/2}$—3 ს.

**პავლოვცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოგოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**გორალევიჩი**—შინაგან, ყოველ დღე. $11^{1/2}$—$12^{1/2}$ ს.

**იაკ. ჩუდნოვსკი.**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ასპისოვი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

**ხუდაბაშევი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**აბულედიანი**—ბავშვისა შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—76)

**ექიმი** ვ. ღამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსა მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 131,

**საფერშლო-საბებიო სკოლა.**

ქიევში

ექიმ ნეიმტუშეს სამკურნალოსთან 100 კრავ. „კვისისანა". თხოვნების მიღება 1 სექტემბრამდე. (5—ფ.—2)

**ექიმი** კბილისა ი. შ. ჟანტურია

იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—8 საათ., კვირა-უქმე დღეს დილით 9—1 საათამდე. ავჭალის ქუჩა, № 71 (კირიჩნი ქუჩის ხალდ.) (24—310—20)

**დ. ყვირილაში**

მთავრობის ნებართვით 1 ენკენისთვიდან იხსნება ვაჟთა კერძო

## —პროგიმნაზია—

ყვირილის და მის გარემო მცხოვრებთა საყურადღებოდ სასწავლებლის გამგეობა აცხადებს:

1. მსურველთაგან თხოვნები მიიღება 1 აგვისტოდან ძროებით დეკ. დ. ღამბაშიძის სახლში; 2. მოსამზადებელ და შემდეგ კლასებში მისაღები პირობები ისეთივეა, როგორიც მთავრობის ამგვარსავე სასწავლებელში; 3. სწავლის ფული მოსამზადებელ კლასებში 50 მან. წლიურად, ხოლო 1 კლასიდან 60 მან; 4. სასწავლებელში მისაღებად საჭიროა მეტრიკული მოწმობა და ყვავილის აცრის მოწმობა. (8—კვ.—6)

## გამგეობა

**ყვირილის სამეურნეო ბანკისა**

საყოველთაოდ აცხადებს, რომ, თანახმად ამა 1909 წლის 19 ივლის მომხდარ საზოგადო კრების დადგენილებისა, ბანკის 10% საწევრო თანხა გადიდებულ უნდა იქნას 20%, რომლის გასადიდებლადაც უკანასკნელ ვადად ითვლება ამავე წლის 19 აგვისტო.

გამგეობა ბანკისა, აცხადებს რა ამას, სთხოვს ბ-ნთ წევრთ, ხსენებულს ვადამდე შემოიტანონ გასადიდებელი თანხა. (3—ნ.—2)

## იყიდება

იაფად **სააგარაკო ადგილები,** თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ **თელოვანში** (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. სააგარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოღოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში **ზაქარია გიორგის ძეს მაღალაშვილს.** (50—ნ.—20)

**დაბა ახალ-სენაკში**

**ქ-ნ მ. დ. ფულარიას თაოსნობით**

## იხსნება

ქალების კერძო ოთხ-კლასიანი

## პროგიმნაზია

გამოსაცდელი ეგზამენი დაიწყება 16 აგვისტოს, ხოლო მეცადინეობა 1 სექტემბერს. (26—266—25)

„განათლების" საზოგადოების

## სკოლაში

(სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, № 6.)

ეგზამენები როგორც დასაწყისს განყოფილებაში, ისე პირველ და მეორე პროგიმნაზიულ კლასებში დაიწყება 25 აგვისტოს. (3—1)

## ტფილისი 9 აგვისტო

ამას წინად ვწერდით, რომ ახლანდელი საპარლამენტო ვაკაციები ისე მიმდინარეობენ, რომ რეაქციონერთა ჩვეულებრივს აგიტაციას სათათბიროს და ძირითად კანონების წინააღმდეგ ადგილი აღარ აქვს. ჩვენ ამით ის არ გვინდოდა გვეთქვა, ვითომ რეაქციონერები შეურიგდნენ 3 ივნისს მათ სასარგებლოდ შესწორებულს კონსტიტუციას. ჩვენ აღვნიშნეთ მხოლოდ ის, რომ ეხლანდელი მომენტი ხელსაყრელი არაა შავრაზმელთა აგიტაციისთვის, რომ, ცოტა არ იყოს, პრესტიჟი შეუმცირდათ და მთავრობა წინანდებურად არ ეფერება და არ აქეზებს „მავრს".

მაგრამ თურმე ავჩქარებულვართ და დაგვივიწყნია, რომ ვაკაციების გათავებამდე კიდევ ორი თვეა და ორ თვეში, ვინ იცის, რა სიურპრიზებს არ გვიმზადებს კიდევ უცნაური რუსული სინამდვილე?!.

ჩვენი წერილის შემდეგ არ გაუვლია ორ დღესაც, რომ რეაქციონერთა ბანაკის მთელ ფრონტზე წინანდებური აგიტაცია გახურდა. თაოსნობა ტოლმაჩევის საძვლობელის შავრაზმელთ ერგო. ენკენისთვეში ადესამ უნდა აირჩიოს სათათბიროს ერთი წევრი გარდაცვალებულ პერგამენტის ნაცვლად და ეს გარემოება დაიხვიეს ხელზე მთელი რუსეთის შავრაზმელებმა. რა კი იმედი არა აქვთ არჩევნებზე გამარჯვებისა, გარდასწყვიტეს—საუკეთესო იქნება სრულებით განიდევნონ საარჩევნო ბრძოლის ველიდან მოწინააღმდეგენიო და შეუდგნენ აგიტაციას ებრაელთა წინააღმდეგ. დადგა ჩვეულებრივი ხანა პეტიციების და უკვე შევრდომილეს თხოვნების გზავნისა არა მარტო ადესიდან, არამედ მთელ რუსეთიდან, იმის შესახებ, რომ ადესის ებრაელთ საარჩევნო უფლება უნდა ჩამოერთვასო. რეაქციონერთა პრესსას, მონარქისტულ ორგანიზაციებს თავისი ხმა შეუერთა ადესის საქალაქო საბჭომაც...

პირველ მომენტში ამ საოცარმა და თავხედმა აგიტაციამ გავლენიანი რეაქციონური გაზეთებიც-კი ააღელვა. „ნოვ. ვრ." და თავ. მეშჩერსკის „გრაჟდანინი" გულისწყრომით სწერდნენ —მონარქისტები ხელმწიფის ნებას ეურჩებიან და ისეთ საქმეში ჩათრევა განუზრახავთ მაღალ სფერებისა, რომლის აღსრულება შეუძლებელიაო: უკვე გამოიცა უმაღლესი ბრძანება ჩვეულებრივის წესითა და კანონით არჩევნების მოხდენის შესახებ და ახლა მონარქისტები თხოულობენ—გაუქმდეს ეს ბრძანებაო, მაგრამ, ეს მხოლოდ პირველ მომენტში დაიბნენ ასე სუვორინი და მეშჩერსკი. მალე საყვედურის ხმა გაკმინდეს და ეხლა უკან დაწევისათვის ნიადაგს იმზადებენ... ოპოზიციის პრესსაც პირველ მომენტში სიცილითა და დაცინვით მიეგება ადესის შავრაზმელთაგან დაწყებულს აგიტაციას. არავის ეგონა, რომ სერიოზულ ყურადღების ღირსი გახდებოდა იმ „სბროდ"-ის აგიტაცია, რომელსაც ადვილ საქმედ მიაჩნია ახალ სახელმწიფო „პერევოროტის" მოხდენა, რომელიც ძირითად კანონებისა და კონსტიტუციის ახალ დარღვევას მოითხოვს საოცარის ფუქსავატობითა და სიმჩატით. მაგრამ მალე ამ მხრითაც შეიცვალა სურათი და ოპოზიციის პრესსაც სერიოზულად ყურს უგდებს ახალს განგაშს...

საქმე ისაა, რომ ადესის ჭეშმარიტ რუსთაგან დაწყებულ აგიტაციის გამო ატეხილს მითქმა-მოთქმაში მოულოდნელად ჩაერია ოფიციოზი „როსსია". მოსალოდნელი იყო, რომ სტოლიპინის ორგანო ცივ წყალს გადაასხამდა „მავრს" თავზე და შესაფერისს ადგილს უჩვენებდა; მოსალოდნელი იყო, რომ მუდამ კანონიერების დაცვის საჭიროებაზე მოსაუბრე ოფიციოზი თავხედ შავრაზმელთ აუხსნიდა მათ ურჩობის უვარგისობას, აუხსნიდა, რომ შეუწყნარებელია ხელმწიფეს წინაშე ისეთ შუამდგომლობის აღძვრა, რომლის აღსრულება ძირითად კანონების დარღვევას ნიშნავს; მოსალოდნელი იყო, რომ სტოლიპინის ორგანო ოდესის მმართველს დარიგებას წაუკითხავდა და შეასმენდა ოდესის საქალაქო საბჭოს საქციელის უკანონობას. ნამდვილად-კი „როსსიამ", თუმცა პირდაპირ არა, გადაკვრით მაინც ქების „უქაზი" გაუგზავნა შავრაზმელთ. ჭეშმარიტ რუსთა კავშირი ნამდვილი პატრიოტთა და გულწრფელ მონარქისტთაგან შესდგებაო, ბრძანა „როსსიამ", შეეხო თუ არა ხსენებულს პოლემიკას. შავრაზმელებმა ასეთი სიტყვა დახმარებად მიიღეს; დარწმუნდნენ, მთავრობამ მოიწონა ჩვენი მოთხოვნაო და განგაშს, აგიტაციას უმატეს. გაიგონეს თუ არა მთავრობის გაზეთმა დარიგების მაგიერ წაგვახალისაო, შავრაზმელთა მთელს ფრონტზე იმედითა და სასოებით დაჰკრეს ბუკი და ნაღარა. ახლა აგიტაცია ხუმრობად აღარავის მიაჩნია და ბევრი ჰფიქრობს—აქ რაღაც წინადვე განზრახული გეგმა სრულდება, ახალ შეთქმულების სუნი დატრიალდაო...

დაუჯერებელია, რომ შავრაზმელთა დღევანდელმა აგიტაციამაც გასჭრას და მესამე ივნისი დღეს განმეორდეს. მთავრობის მორჩილი სათათბირო ჰყავს თუნდაც ადესამ ათი ებრაელი გაგზავნოს ერთის მაგიერ, ამით სურათი არ შეიცვლება. მაშ რისთვის შეირცხვენს თავს სტოლიპინი ევროპაში ან შინ? მაგრამ აქ, მთელ ამ ისტორიაში ის-კი არ არის საინტერესო —აუსრულებენ თუ არა ადესის პატრიოტებს მათ უკანონო სურვილს, არამედ ის, რომ მთავრობის ორგანო და სხვა და სხვა გავლენიანი გაზეთებიც არა ბუნებრივად არა სთვლიან შავრაზმელების აგიტაციას. ცხადია, მაშასადამე, რომ როცა ეს რეგულარად საჭირო იქნება, მთავრობა, „საკონსტიტუციო მთავრობა" არ დაერიდება და არ შედრკება ძირითად კანონების ხელახლავ დარღვევის წი-

## ტფილისის სობრანიე

დღეს, კვირას, 9 აგვისტოს,

**— საზაფხულო სადგომში —**

### საოჯახო საღამო

**✦ სინემატოგრაფი ✦**

დასაწყისი სწორედ 9 საათზე. (1—403—1)

**◀ ქ უ თ ა ი ს შ ი ▶**

**ქალთა სკოლა პროფესიონალურ განყოფილებით ნ. ლ. მიქელაძისა**

## გადავიდა

თ-დ ნიჟარაძის სახლში თფილისის ქ., ოლდენბურგის ქ. პირდაპირ. მოსწავლეების მიღება დაიწყება 20 აგვისტოს, ზოლდ სწავლა 1 ენკენისთვეს.

სკოლაში ასწავლიან: ქართულ-რუსულ წერა-კითხვას, ხელოვნურ ხელსაქმეს და ჭრა-კერვას. ვისაც სურს, გარეშე ამისა ცალკე შეისწავლოს ხელოვნური ხელსაქმე და ჭრა-კერვა, იმათთვის მეცადინეობა იქნება სასწავლებელში ნაშუადღევს 4—6 ს. დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება თვით სასწავლებელში. (8—კვ.—1)

## შპალიერი

### ძმ. ტარნოპოლების

**ფაბრიკის**

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქის დიდ მაღაზიებში.

**განყოფილება ტფილის.:** გოლოვინის პრ. 21, სადაც თეატრია საარტისტო საზოგადოებისა.

**ფასები საფაბრიკოა.**

ნიმუშები უფასოდ. (25—ნ. 25)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს:

განთავისუფლდა სტიპენდიები: ერთი აბესალომოვის სახელობისა—უმაღლესს სასწავლებლებში, ხოლო სამი ქალაქისა—ტფილისის მესამე ქალთა გიმნაზიაში. სტიპენდიები დანიშნულია ღარიბებს სტუდენტისა და მოსწავლე ქალთათვის ტფილისის მცხოვრებთაგან, განსაკუთრებით ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

თხოვნები საჭირო დოკუმენტებით შეტანილ უნდა იქმნას ქალაქის გამგეობაში 1909 წლის 20 აგვისტომდე. (3—ნ.—1)

ნაშე. ამით არის საგულისხმიერო დღევანდელი აგიტაცია ჭეშმარიტ რუსთა კავშირისა...

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ცნობილი“ მიმინო და მისი „კოლეგია“ თავისას არ იშლიან. სცდილობენ თავი გაიმართლონ და, სხვა რომ ვერაფერი მოუხერხებიათ, თავიანთ გაზეთის უკანასკნელ ნომერში „დროების“ ლანძღვას შესდგომიან. გვისაყვედურებენ — სინამდვილე არ გაიგო, „დროებამ“ და წაკითხული არ შეისმინაო. მერე ამას „გუშაგი“ ნამდვილ გუშაგისებურ ფილოსოფიას დასძენს: „მით უმეტეს ეს არ ეპატიება პრესსას—რომელიც წარმოადგენს ამა თუ იმ ორგანოსაო“.

რასაკვირველია, „გუშაგი“ არსებითად არას ამბობს თავის ხელმძღვანელის ბ-ნ მიმინოს უკადრის საქციელზე და გვეკამათება წვრილმანებზე—რად დასწერეთ, რომ ასოთ-ამწყობებმა და არა კოლეგიამ შეაჩერა წერილიო. თუ „გუშაგი“ „პრესსაა, რომელიც წარმოადგენს ამა თუ იმ ორგანოს“, უნდა ესმოდეს, რომ ეს საქმის ვითარებას არაფერს არა მატებს.

ცოტა ქვემოდ „გუშაგი“ სისულელეს როშავს: თავ. ამირაჯიბმა „ოტისკი“ მოგვპარა და „თქვენ გამბედაობა არ შეგწევთ“, რომ ამაზე ხმა ამოიღოთო. ჯერ ერთი, ჩვენ ამის შესახებ წერილი მეორე დღესვე გადმოვბეჭდეთ „ჩანგიდან“ და, მეორე, გასაოცარია სწორედ: ნეტა ვის უხვევენ თვალებს გუშაგელები—თავიანთ თავს თუ მკითხველს! ვთქვათ, თავ. ამირაჯიბმა წაიღო „ოტისკი“. მერე ამ „ოტისკის“ მეტი სხვა აღარ მოგეპოვებათ? ხომ უნდა გქონდეთ „ოტისკები“ კორექტურისთვის, ცენზორისთვის? ხომ უნდა იყოს ორიგინალი წერილისა? რა უყავით ყველა ამას? ალბად მალავთ, იმიტომ რომ სარფა არ არის მათი გამხელა თქვენთვის...

„გუშაგის“ იმავე ნომერში დაბეჭდილია „ერთი ტუსაღთაგანის“ წერილი. ავტორი ამბობს, მართალი არ არის, რომ ხანდამიშვილი დუშეთის ციხეში გაასამართლეს და ტახტ ქვეშ დაამწყვდიესო, თანაც ბოლოში უმატებს, „დროებამ“ ეს წერილი არ დამიბეჭდაო. „დროებამ“ ერთ ტუსაღთაგანს წერილი არ დაუბეჭდა იმიტომ, რომ ის წერილი აშკარა ტყუილს შეიცავდა, რაც პირში გამოეცხადა ავტორს და წერილიც დაუბრუნდა...

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 აგვისტო

### ს პ ა რ ს ე თ ი

**თეირანი.** გამოაქვეყნეს მეჯლისში არჩეულ დეპუტატთა სია. ყველას განათლება აქვს მიღებული. დეპუტატების არჩევის გამო დასცალეს ზარბაზნები და აუშვეს შუშხუნები.

ამ დღეებში პოლიციის უფროსი ეფრემი რაზმით ზენჯანში მიდის, სადაც რეაქციონური მოძრაობაა. ამ მოძრაობას ხელმძღვანელობს მოლა ყურბან-ალი.

მაქოს ხანმა ახალ შაჰსა და მთავრობას მორჩილება გამოუცხადა.

**თავრიზი.** ჯულფის გზით მოვიდა ადერბეიჯნის გენერალ-გუბერნატორად დანიშნული მუხბირუს-სალთანე. გუბერნატორს კონვოი არ ახლდა. დასცალეს ზარბაზნები.

პარლამენტის დეპუტატების არჩევნები თავრიზში სამი დღით გადაიდო. მიზეზი ის არის, რომ ამომრჩეველთ ზანტად მიაქვთ საარჩევნო ბიულეტენები.

ურმიასა და თავრიზ შორის ტელეგრაფი ჯერ არ არის აღდგენილი.

### ო ს მ ა ლ ე თ ი

**სალონიკი.** საბერძნეთის საქონელსა და გემებს ბოიკოტი გამოუცხადეს.

**კანეია.** კრიტეს მთავრობამ სიტყვა მისცა მფარველ სახელმწიფოთა კონსულებს, რომ დაემორჩილება მათ გადაწყვეტილებას, ამასთან დაუმატა: რაწამს კანდიაში წესიერება იქნება აღდგენილი, ოფიციალურ განცხადებას გამოვცემო. მოხელეებმა დროშა ჩამოიღეს, მაგრამ შეიარაღებულმა ხალხმა ძალა იხმარა და ხელახლა გამოჰკიდა დროშა. იქვე მყოფ მილიციის რაზმს არ შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია. შეიარაღებული ხალხი ეხლაც იცავს დროშას. კანეიაში სრული მშვიდობიანობაა.

**ლონდონი.** „ტაიმსის“ ცნობებით, ამერიკელთა სინდიკატს აზრადა აქვს მცირე აზიაში რკინის გზები გაიყვანოს. ჯერ-ჯერობით გზას გაიყვანენ ანგორიდან ვანის ტბამდე შტოებით დიარ-ბეკირ-მასულ-იხიათი. მეორე საზოგადოებას სურს გაიყვანოს გზა ალექსანდრეტტიდან ალეპპოზე მდ. ეფრატის სათავებამდე.

**სტამბოლი.** პარლამენტმა განიხილა საკითხი ეკლესიების შესახებ მაკედონიაში. გადაწყდა, რომ სადაო ტაძრები, იმ სარწმუნოებას მიეცეს, რომელსაც ფირმანი აქვს მიღებული ეკლესის აგებაზე და იმ სარწმუნოებას, რომელსაც ეკუთვნის ამა თუ იმ ადგილის ორი მესამედი, შერჩება დღევანდელი თავისი ტაძრები, უმცირესობას-კი ნება მიეცემა ახალი ტაძრები ააგოს.

საბერძნეთის პასუხმა დააკმაყოფილა ოსმალეთი, თუმცა არა სავსებით, იმის გამოსარკვევად, თუ რა დამოკიდებულება აქვს საბერძნეთს მაკედონიის საკითხთან, მოლაპარაკებას კვლავ განაგრძობენ. ფიქრობენ, რომ შეტაკების შიში თავიდან აცილებულ იქმნა.

**კანეია.** ღამე კრიტეს მთავრობამ კანეიდან დეპეშა მიიღო, რომ, მიტროპოლიტის შუამავლობის წყალობით, წესიერება აღდგენილ იქმნაო. ხალხმა თითონ მოხსნა საბერძნეთის დროშა და გადასცა მოხელეებს.

**ლონდონი.** რეიტერის ცნობებით, საპასუხო ნოტაში საბერძნეთი აცხადებს: საბერძნეთის მთავრობა, როგორც ყველა სხვა მთავრობა, მწუხარებით უყურებს იმ არეულობებს, რომელთა წყალობითაც გაღატაკდნენ და ამოსწყდნენ მაკედონიის მცხოვრებნი. როდესაც ოსმალეთში ახალი რეჟიმი დამყარდა და იმედი იყო, რომ საქმის ვითარება მაკედონიაში გამოკეთდებოდა, საბერძნეთმა ყოველი ღონე იღონა, რომ წესიერება აღედგინა იქ. ასეთსავე პოლიტიკას შემდეგში აწარმოებს საბერძნეთი კრიტეს შესახებაო. საბერძნეთი აცხადებს აგრეთვე, რომ იგი მფარველ-სახელმწიფოთა გადაწყვეტილების თანახმად იმოქმედებს და არავითარ მოძრაობას კრიტეში ხელს არ შეუწყობს.

### გაფიცვა შვეციაში.

**სტოკჰოლმი.** ამ სამი დღის წინად სტოკჰოლმში და გოტებორგის ახლო გაფიცულებმა დემონსტრაცია გამართეს. დემონსტრაცია ტრეიკბეხერების წინააღმდეგ იყო მიმართული. წესიერება არ დაურღვევიათ. რკინის გზებზე თითქმის ნორმალურად სწარმოებს მუშაობა, წინანდელთან შედარებით სამგზავრო მატარებლები შეამცირეს—15, საქონლისა—90, 142 კერძო რკინის გზებზე სულ 97 მატარებლებით. სტოკჰოლმის ქუჩებში ჩვეულებრივი მისვლა-მოსვლაა, სამეფო თეატრი ღიაა.

**სტოკჰოლმი.** სტოკჰოლმის კერძო გაზეთების რედაქციებმა მესტამბეთა კავშირს უჩივლეს, ხელშეკრულება დაარღვიეთო, და ზარალის ანაზღაურებას თხოულობენ, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ატყობინებენ, ზოგან გაფიცვა გათავებულა და ზოგან მუშების ნაწილი მუშაობას შესდგომია 800,000 სასოფლო-სამეურნეო მუშიდან გაფიცული იყო მხოლოდ ათასი კაცი. არა სოციალისტ მუშების კავშირმა თავის წევრებს შეატყობინა, გაფიცვამ ისეთი მსვლელობა მიიღო, რომ კავშირი მას ვერ მიემხრობა, და ამიტომ საჭიროა მუშაობას 10 აგვისტოდან მაინც შეუდგეთო. მთავრობის ვამოანგარიშებით 3 აგვისტოს გაფიცული ყოფილა 284,218 მუშა, მუშაობა დაუწყია 10,000 მუშას. გუშინ, 7 აგვისტოს მუშაობა დაიწყო 37 ქარხანამ. გაფიცვა მშვიდობიანად სწარმოებს.

### საზღვარ-გარეთ.

**ოლჯატე.** სებკოს ახლო ელექტრონის მავთულების გაწყვეტის გამო ცეცხლი გაჩნდა. მოკვდა 10, მძიმედ დაიჭრა 12 კაცი.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონ-პროექტი სამხრეთ-აფრიკის უნიის შესახებ.

**ტოკიო.** ჩინეთის და იაპონიის მთავრობები უკვე შეთანხმდნენ ანდუნ-მუკდენის რკინის-გზის შესახებ. შეთანხმების ქაღალდს ორივე სახელმწიფოების წარმომადგენლებმა მოაწერეს ხელი.

### რ უ ს ე თ ი

**ბლაგოვეშჩენსკი.** ნავთ-სადგურის ახლო დაიწვა გემი „რუბაკი“. არავინ დაშავებულა. ზარალი 100,000 მანეთს უდრის.

**სიპინი.** გუშინ, 7 აგვისტოს, წირვის დროს ეკლესიას მეხი დაეცა. მსუბუქად დაიჭრა მღვდელი, მნათე და ორი მლოცველი.

**ცარიცინი.** ვლადიმირსკში საზოგადოება „კავკაზ ი მერკურის“ გემი „ერმაკი“ ნაპირს დაეჯახა. დაზიანდა გემის წინა ნაწილი. გემი მალე წყლით აივსო, დაიღუპა საქონლის ნაწილი. მგზავრები გადაარჩინეს.

### ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 27. გარდაიცვალა 13, ავად არის 336 კაცი.

**არხანგელსკი.** 6—7 აგვისტოს ავად გახდა 2, გარდაიცვალა 2 კაცი; ხოლმოგორის მაზრაში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 3 კაცი; კემსა და მის მაზრაში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 3 კაცი.

**კრემენჩუგი.** ავად გახდა 11, გარდაიცვალა 5 კაცი. გახსნეს ხოლერიანების საავადმყოფო.

**იაროსლავლი.** რიბინსკში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 6 კაცი; იაროსლავსა და მის მაზრაში ავად გახდა 7, გარდაიცვალა 5 კაცი.

**რიგა** ავად გახდა 9, გარდაიცვალა 3 კაცი; ვოლმარის მაზრაში ავად გახდა 1 კაცი; იურიევში გარდაიცვალა დედაკაცი, რომელიც პსკოვიდან ჩამოვიდა.

**პერმი.** ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1 კაცი.

**მოგილევი.** (საგუბერნიო). სოფელ დმიტროკოვშჩინაში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1 კაცი; სოფ. ბუტრომოვოში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 2 კაცი.

**ვიტებსკი.** 31 ივლისიდან 6 აგვისტომდე ავად გახდა 43, გარდაიცვალა 20 კაცი.

**პოლოცკი.** 4—6 აგვისტომდე ავად გახდა 12, გარდაიცვალა 7 კაცი.

**პოლტავა.** სოფელ კაპუსტინცახში ავად გახდა 3 კაცი; კრემენჩუგში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 2 კაცი.

**ტვერი.** 6—7 აგვისტოს ავად გახდა 5, გარდაიცვალა 2 კაცი.

## კახეთში გადასახლებულნი

დასავლეთ საქართველოდან (შორაპნის მაზრიდან) კახეთში გადასახლება გლეხებმა იწყეს 1898 წლიდან. გადასახლებულთა რიცხვი თან და თან მატულობდა, ხოლო 1906—1908 წლებში ხალხი ერთპაშად გადავიდა, ასე რომ დღეს დაახლოვებით გადასახლებულთა რიცხვი 1,200 კომლს აღემატება. უფრო ადრე დასახლდნენ იქ ოსები გორის მაზრიდან.

გადასახლებულთაგან დაარსდა ორი საზოგადოება—ლელიანისა და კაბალისა. ლელიანი უკვე დამტკიცებულია საზოგადოებად და შეიცავს შემდეგ სოფლებს: ბებურიანს, ლელიანს, აფენს (იქ იმერლები სახლობენ), ბოლკს, ხოშოტიანს, არეშისფერანს, ეშმაკის-ყურედა ფონს (აქ ოსები სახლობენ) კაბალში არის შემდეგი სოფლები: კაბალი, ბაისუბანი, სხალ-გორი, ყარს-უბანი, პატარა გორი და თელა. ამას გარდა, ლაგოდახის მახლობლად თავ. ჩოლოყაშვილის მამული შეიძინეს იმერლებმა და კახელებმა და გააშენეს სოფელი კავშირი. აქვე არის სოფელი შრომა, რომელიც გაშენებულია სახაზინო მიწაზე. ლელიანის საზოგადოების ყველა მცხოვრებმა მამული შეიძინა საგლეხო ბანკის საშუალებით, კაბალელები-კი სცხოვრობენ საიჯარადრო მამულზე. ეს მამული თავ. ვაჩნაძე—აფხაზებისაა. ახლა კაბლალები მოწადინებული არიან, შეიძინონ მამული საკუთრებად. ზოგიერთ კაბლელს განუძრახავს სახაზინო მამულზე [illegible] სადაც, ჯერ, [illegible] კიდევ [illegible] ამართლებენ თუ არა ამ დაპირებას რა მოგახსენოთ!

კაბალი ასე ეძახიან იმერლები საზოგადოდ ალაზნის გაღმა მხარეს, —წარმოადგენს ვაკე ადგილს, დაფენილს ხშირის ტყით, და ეს ადგილი უწევს კავკასიონის ანუ დაღესტნის ქედამდის. სწორედ ამ ტყეში ესახლებიან დასავლეთ საქართველოდან გადმოსულნი და ოსები. ტყის გაჩეხა დიდ შრომას თხოულობს. სამაგიეროდ, შრომა დაუფასებელი არა რჩება. აქაური ნოყიერი მიწა უხვ მოსავალს იძლევა და ამის გამო ხალხი არ ერიდება აუტანელ შრომას. გაჩეხილს ადგილში ხალხი სთესავს ჯერ-ჯერობით მარტო სიმინდსა და პურს; ლელიანის საზოგადოებაში ვენახიც გაუჩენიათ, რასაც კარგა უხარნია. აქვე ერთ გლეხს დაუთესია ბრინჯი. პური და სიმინდი საუცხოვო სანახავია, პური ხშირად კაცის სიმაღლე სდგას, სიმინდი კი ორ საჟენს აღემატება. ხშირად დაუთვლით 5—6 ტაროს ჩთვითეულ ძირს.

იმერლობა დიდ ალტაცებაში არიან ამისი შემყურე და ავიწყდებათ ის ტანჯვა-წვალება, რაც მათ გამოიარეს. ძველი სიმინდი კოდი (ხუთი ბათმანი ანუ 3 ფუთი) ექვს აბაზად იყიდება. ახალი კიდევ, ვგონებ, უფრო იაფი იქნება. იაფია აგრეთვე კახური ღვინო, ფუთი ოთხი აბაზი. მაგრამ ღვინის სიაფე ვერაფერი სანუგეშო გამოდგა გადმოსახლებულთათვის: როგორც ფუტკარი თაფლს, ისე ეტანებიან ნუნუას. არა თუ უქმე დღეებში, ხშირად საქმე დღეებშიაც სხედან და ლოთობენ.

საჭიროა ხალხისათვის სკოლებისა და სამკითხველოების დაარსება. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს წერა-კითხვის საზოგადოებამ.

გადმოსახლებულნი ერთმანეთში კარგ განწყობილებაში არიან—ქართველები და ოსები, აგრეთვე თათრებიც სცხოვრობენ ძმურად. ხშირად ხმა ვრცელდება—ვითომ თათრები და ლეკები ქართველებს არა თუ საქონელს, ქალებსაც იტაცებენ-

## სიმღერები

1.

**წითელი ვარდი**

დაღონებულმა ჩამოგიარე,
შენ ფანჯარაში იჯექ მდუმარე;
სალამი მოგეც ნათელ ღიმილით,
გულს ვერ დავფარე სიტყვა მგზნებარე.
გითხარ: მნათობო! შენი სიტურფით
კოკობი ვარდი განცვიფრებულა;
შენ გეტრფის მხოლოდ, შენზე ოცნებობს,
შენთვის მრავალჯერ აცრემლებულა!
აჰა, მოსწყვიტე ტურფად გაშლილი,
დაე შენს ხელში დასჭკნეს ნარნარი;
მას სხვა ბულბული ველარ დაატკბობს,
ველარც მოჰხიბლავს დილის ცისკარი!
მოსწყვიტა სატრფომ წითელი ვარდი
ეშხით დამთვრალი და აგზნებული;
და რა დაჰყნოსა, შემკრთალმა იგრძნო,
რომ ხელში ეპყრა მას ჩემი გული!

2.

**აჩრდილი**

ტურფავ, თუ შენ პირს მარიდებ,
გსურს გამშორდე მონა-ერთგულს,—
მაშ აჩრდილი სხივოსანი
თან რადა მდევს დაობლებულს?
ბნელ ღამეში, მარტოკა მყოფს,
თავს მევლება, მეღიმება;
ხან დაქანცულს ნანას მიმღერს
და ხან ისევ მირისხდება...
შენ შორსა ხარ, ჩემო მკვლელო,
სხვა შეგხარის გრძნობით ავსილს;
მე კი ვეტრფი დამწვარ გულით
მსუბუქ მქროლავს შენსა აჩრდილს!..

3.

**დარჩი ჩემთან!**

ღამე მიჰქრის, ბნელი ჰქრება,
მთვარე ღრუბლებს ეფარება;
ყურს არ უგდებს ჩემს მუდარას,
გულის სატრფო მეთხოვება!
დარჩი ჩემთან! ერთად შევხვდეთ
მზის ამოსვლას და განთიადს;
ჰხედავ, წითლად შეიღება,
ფერი უკრთის უკვე წყვდიადს!
მთის ნიავი შენს კოცნას ჰგავს,
სულს ახარებს, ანავარდებს;
დარჩი ჩემთან! მოგიკრეფავ
ცით დანამულს ია-ვარდებს.
გულს შეგიმკობ, მოგიქარგავ
დაგიკოცნი მაგ შავს თვალებს;
ნუ შეჰკრთები, მეგობარო,
თუ მოგვიძღვნის „ხვალე“ დარდებს!..

4.

**მე და სუმბული.**

სპეტაკსა სუმბულს,
ნორჩს, აყვავებულს,
დილით ვეტრფოდი,
ვემონებოდი!
ცრემლითა ვრწყავდი, თავს ვევლებოდი,
მისთვის ვკვნესოდი, ვიტანჯებოდი.
მე ის მიყვარდა
და იმის გარდა
ცხოვრების მიზნად არა მიმაჩნდა.
უცბად მის ახლო პეპელა გაჩნდა.
ნახა და გული გარდაუშალა.
სული აღიგზნო, გრძნობა აშალა.
და რაც მიელო ჩემგან სურნელი,
ახალსა სტუმარს მთლად ანაცვალა.
—ნუ მიენდობი ნაზსა პეპელას,
წამით დაგატკბობს და გაფრინდება;
ჰნახავს სხვა ყვავილს, შენ დაგივიწყებს,
და მოგონება ტანჯვად დაგრჩება!
ყური არ უგდო გულით ვედრებას,
ცივად უმზერდა ჩემს დაობლებას!
რა ამოსწოვა სიტკბო ნელნელა,
მოჰშორდა ყვავილს, გაჰქრა პეპელა!
მე კი ვუმზერდი
ვშფოთავდი, ვკვნესდი,
მაინც ვეტრფოდი,
ვემონებოდი.
ცრემლითა ვრწყავდი, თავს ვევლებოდი,
ვიტანჯებოდი, მისთვის ვკვდებოდი!..

5.

**რას მივენდო.**

რას მივენდო, რა ვიწამო,
მითხარ, რაზე დავემყარო?
ყველა მიდის, ყველა ჰქრება...
დაიმსხვრევა თვით სამყარო!
სიყვარულის და მშვენების
დაანგრია ბრბომ ტაძარი;
მისი ღმერთი, კერპად ქმნული,
სასტიკია და საზარი!
სიკვდილი გვსპობს უფრო ადრე,
ოცნებას ფრთა ეკვეცება;
რას მივენდო, რა ვიწამო?!..
ყველა მიდის... ყველა ჰქრება!..

**ა. შანშიაშვილი.**

## ტალკვესი

დაჰკარი ჩემო ტალკვესო,
დაჰკარი დააკვესეო,
მოყვარეს პირში უმრავე,
და მტერი ააკვნესეო.

—

რად აქვითინდა გიორგი,
რა ჭირი ადგა კარზედა?
რად არ გაისვამს მარჯვენას
მარცხენა ტალავარზედა!
თავი „სტოლს“ დაუბჯენია—
მთა იხრავს კავკასიისა,
ნეტა რა არის ნაღველი
ბაღში ნაომარ გმირისა?!

აი, ფიქრები, რომელნიც კატასავით უფხაჭნიან გულს „ზაკავკაზიეს“! აი, აშკარა გამოცანა, რომელიც სდგას მის წინ, როგორც სამგლოვიარო სანთელი. ოხ, რატომ არ აქვითინდება მასთან ერთად თვით გიორგი ამირაჯიბის „საქართველოც“, ის, საქართველო, რომელსაც მან დაუკლა ზვარაკი (მოხრაკული წიწილა) ტაბლასა ზედა, და რა ნახა მტერი სიახლოვეს თვისსა, განაგდო პირთაგან ბარკალი და ეკვეთა მას, ის „საქართველო გიორგი ამირაჯიბისა, რომელსაც ამ დღეებში სამგლოვიარო ზარმა ამცნო, რომ, გარდა ბელადისა, მთელი ლაშქარი წარტყვევნესო. დიახ, მთელი ლაშქარი! ორბელიანი, სტუდენტობასა შიგან განსწავლილი ყანჩელი, აქლემებს შუა მოტანებული ლომჯანიძე და სხვანი და სხვანი. გარდა ბელადისა, რომელიც თურმე ეხლა ამზადებს გოლგოთის ჯვარს, რათა აღმართოს იგი ყურიმალსა ზედა წარწერით: „ადგილსა ამას ჩლიქოვანსა ვინმე ბანოვანმან ორლოვსკისამან აწამა მარჯვენითა თვისითა ყურიმალი გმირისა, ხოლო ლაშქარი წარტყვევნილ იქმნა“.

აი, ეს ერთი ფიქრი და ვარამი. ამას კიდევ გაუძლებდა ბელადი, ვინაიდან ყოფილა ამაზე უარესი ბრძოლაც, როგორც, მაგალითად, ჩ. ყ. პ., თუ კარგად აღარ მახსოვს, რომელ წელს, როდესაც ანტონ ფურცელაძე ებრძვნა ნიკო ნიკოლაძეს უკუგდებით, როდესაც განსვენებულმა კეზელმა შედლუხი უქმნა რკინის გზის იურისტ-კონსულტს, დანიილოვს, როდესაც ვ. წერეთელმა მოგვერდი ჰკრა მამიკონოვს და სხვა და სხვა, მაგრამ ვით გაუძლოს გ. ამირაჯიბმა ქართლიდან მიშვერილს ტყვიის მტყორცნელს და იმერეთიდან გამოსროლილს შურდულს. მერე სულ სხვითა გულისთვის. ე. ი. ისევ სამშობლოს გულისთვის.

* * *

საქმე იმაშია, რომ საქართველოში ყოფილა თურმე ქართლი, იმერეთში კიდევ ს. დეისი. ერთგანაც და მეორედანაც ყოფილან გლეხები. იქ ყოფილა აგრეთვე ვინმე თავადი გიორგი ამილახვარი, და აი ამ გ. ამილახვარს გ. ამირაჯიბის „სამშობლოს“ შვილს თურმე სჩაგრავდნენ გლეხები. და მას, როგორც თვის სისხლთაგან და ხორცთაგან ერთ არსს, ნუ თუ არ უნდა მიშველებოდა გ. ამირაჯიბი? ის ასეც მოიქცა: მხარში ამოუდგა „დაჩაგრულს“ და შეჰყივლა მის მტრებს, მაგრამ დახეთ უბედურებას: „ჩანგელებმა“ ხიშტაკი მიაგებეს, „დროებელებმა“ კუკუსტაკი (ახალი იარაღია ამირაჯიბთან საბრძოლველად) და გმირი ლტოლვილ იქმნა ბრძოლის ველიდან. მერე რისთვის მოხდა ყველა ეს? სულ რაღაც ქანქარისთვის. რა არის ბ-ნო ქანქარი? ეშმაკის ნერწყვი და სხვა არაფერი! ვთქვათ, რომ თავ. გ. ამილახვარი მართლაც უსამართლოდ ახდევინებს გლეხებს ქანქარუკებს, მერე რაა აქ საკვირველი! კნიაზი კაცია, გლეხებმა ისედაც უნდა მიართონ ხოლმე ძღვენი. ეს ასე უბრძანებია ღმერთს, ასე ყოფილა საქართველოს დასაბამიდან და ნუ თუ ჩვენ, ქართველებმა, უნდა გადავაგდოთ ეს უწინდელი ზნე-ჩვეულება და მით ქართველი ერი შევაყენოთ გადაგვარების გზაზე!

ვაი, სამშობლოვ, საით მისდიხარ?!..

* * *

დიახ, აი, ეს მეორე ჭირვარამი გ. ამირაჯიბისა, და ამ მეორეს მესამეც ზედ მიაყოლა სვიმონ წერეთელმა. რას იზამ კაცი თუ ერთხელ დააქანა დაღმართზე კუკუსტაკმა, ძნელია მისი შეჩერება. ეხლა ეს კუკუსტაკი ს. წერეთლიდან მოევლინა მას. ის ითხოვს გ. ამირაჯიბს დავლურში.

ავხსნათ არაკი: ოდესღაც ცულლუტ ბედს ფრთა ლაქლაქა „მიმინოსთვის“ და ს. წერეთლისთვის რევოლიუციონერებთან ერთად ურგუნებია დუშეთის ციხეში ჯდომა. შეწუხებულა „მიმინო“ მის არა მსგავსთა ერთად ერთს გალიაში ჯდომით და დაუწერია „თხოვნა“ იქაურსა ამილ-სპასალართან. „თხოვნა“, მეტი რომ არა ვთქვათ, ძრიელ საძაგელი გამოდგარა. ამტყდარა აურ-ზაური, განჩინება, განქიქება, სამართალი და მიმინოსთვის გადაუწყვეტიათ ტუსაღებს ციხეში ციხე, ე. ი. ტახტის-ქვეშ შეძრომა. მიმინოს, რასაკვირველია, გადაუხდია ორკეცი ციხე. ყველა ეს ისტორია ჩვენს გაზეთში დაწვრილებით იყო აწერილი. ჩვენის გაზეთიდან გადაიღო „ზაკავკაზიემ“, მაგრამ ისე კი, თითქოს სვიმონ წერეთელიც სულ თუ არა, ნახევარი მაინც შემძვრალიყოს ციხის ქვეშ ციხეში მიმინოსთან ერთად, როგორც ვითომც მონაწილე მასთან ერთად საძაგლობაში. და, აი, ეხლა ს. წერეთელი ოთხი დღის განმავლობაში სთხოვს მას პასუხს. მაშასადამე, კიდევ ახალი დავლური, კიდევ ახალი კუკუსტაკი!

ამაზედა სწუხს გიორგი,
ცხვირი „სტოლს“ დაუბჯენია,
მთა ხვრინავს კავკასიისა,
მოდრუბლდულს მოუწყენია!

* * *

არა ნაკლებად მოუწყენია კახეთში სიღნაღს, ვინაიდან იქ აკრძალული ყოფილა ხმა ორღნისა და ბობნისა, ებნისა და წინწილისა, თარისა წკრიალოსანისა და ჭიანურისა მხიარულისა! ვთქვათ ისტორია მისი: მწუხრსა ერთსა მთვაროვანსა,

...ნო. ასეთი ხმები მტკნარი სიცრუეა, ...ა თუმცა ხან-და ხან საქონელი იკარ...გება, მაგრამ ეს საზოგადო მოვლენაა. ...ასცებლობასა და ქურდობაზე იმი...ტომ ჩამოვაგდე სიტყვა, რომ ხში...ად შეჰხვდებით გაჭირვებულ გლეხს ...რომელსაც სურს მიჰბაძოს თავის ...გადასახლებულ მეზობელს და თვი...თონაც გადასახლდეს, მაგრამ აში...ნებენ, გზას ულობავენ და ეუბნე...ბიან, არ წახვიდე, თორემ ასე და ...ასე დაგემართებაო. თუ ვისმეს გა...დასახლება უნდა, ჯერეთ კიდევ ...დრო არის, მერე-კი გვიან იქნება. ...ერთად-ერთი დამაბრკოლებელი მი...ზეზი უგზოობაა, მაგრამ ამასაც, ...ვგი არ არის, მალე ეშველება.

**სოფლის მუშა.**

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

**სევერიანე ჯუღელის დასაფლავება.** დღეს, 9 აგვისტოს, დაკრძალავენ უდროოდ დაკარგულ სევერიანე ჯუღელის გვამს. ცხედარს ბინიდან (მეორე თუმანოვის ქ., № 6) დილის 9 საათზე გაასვენებენ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. წირვა-პანაშვიდის შემდეგ ცხედარს დასაკრძალავად წაასვენებენ კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოზე.

**სამართალში.** ტფ. ადმინისტრაციის განკარგულებით, პასუხის გებაში იქმნენ მიცემული „სისკნი“ განყოფილების გამგე მაჩინსკი და მოხელენი ტოლმაჩევი და მაგერლამა ორუჯ-ოღლი ალიევი. რაც შეეხება მოხელეს საფაროვს, იგი პასუხის გებისაგან განთავისუფლებულ იქმნა.

**ქართული თეატრი.** ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას უკანასკნელ სხდომაზე თათბირი ჰქონდა სეზონის დაწყებასა, რეჟისორის მოწვევისა, რეპერტუარის შევსებისა და სხვაზე. მალე მეორე სხდომა მოხდება. აზრადა აქვთ, მიიწვიონ მცოდნე პირები.

**საავადმყოფოს სამრეკლოს კურთხევა.** გუშინ ჩაჰყარეს და აკურთხეს სამრეკლო ზუბალაშვილის სახელობის საბავშვო საავადმყოფოსი. როგორც მკითხველებმა იციან, ძმ. ზუბალაშვილებმა 100,000 მან. შესწირეს ტფილისის თვითმმართველობას საბავშვო საავადმყოფოს ასაგებად. კურთხევას დაესწრნენ ტფ. ქალაქის გამგეობა, ზოგი ხმოსნები და სხვანი. ქალაქის თავის მოადგილემ ა. ი. ხატისოვმა სიტყვა წარმოსთქვა.

**სომხების დაბრუნება ოსმალეთში.** როგორც „ტიფ. ლისტოკი“ გადმოგვცემს, რუსეთიდან ბევრი სომეხი ბრუნდებიან თურმე ოსმალეთში—ყარსის გზით ყოველ კვირა ორას-სამასი კაცი მიდისო.

**წარმოდგენა.** დღეს ქართულ სახაზინო თეატრში გაიმართება ქართული წარმოდგენა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, კ. მესხი და სხვანი. წარმოდგენილი იქნება მოლიერის ცნობილი კომედია „ქმართა სკოლა“ ივ. მაჩაბელის ნათარგმნი. ანტრაქტებში გაიმართება სინემატოგრაფის სეანსები. ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია.

**დრამატიული საზოგადოება.** ქართულმა დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, საზოგადოების წევრთა წლიური კრება დაინიშნოს 6 სექტემბრისათვის. გამგეობამ თათბირი იქონია აგრეთვე დრამატიულ დასის გაუმჯობესობაზე და დაადგინა, სისტემატიურად დრამატიულ ხელოვნების შესასწავლად რუსეთში ჰგზავნოს ნიჭიერი ახალგაზრდები. დაადგინა აგრეთვე სთხოვოს წ.-კ. საზოგადოების გამგეობას, რომ ზუბალაშვილის სახელობის სტიპენდია დაენიშნოს ვალერიან შალიკაშვილს, რომელიც სექტემბერს სარეჟისორო კურსებზე მიდის რუსეთში. გამგეობა თხოვნით მიმართავს აგრეთვე ბ-ნ დ. სარაჯიშვილს, მისცეს სტიპენდია ქ-ნ ჩირგაძეს, რომელიც ამ ჟამად პეტერბურგის დრამატიულ კურსებზე სწავლობს.

**მღ. გძელიშვილის შესახებ.** სასინოდო კანტორის საბჭომ უკანასკნელ სხდომაზე თათბირი იქონია მღ. ვლ. გძელიშვილზე, რომელმაც სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში 6800 მანეთამდე ფული დაჰკარგა საეპარქიო სანთლის ქარხნისა. საბჭომ დაადგინა, აუკრძალოს მღ. გძელიშვილს მღვდელ-მოქმედება და დაითხოვოს იგი სამსახურიდან.

**უპასპორტოები.** 7 აგვისტოს ავლაბარში რამდენიმე უბანი გაჩხრიკეს და დააპატიმრეს 8 უპასპორტო კაცი.

**სახალხო უნივერსიტეტი.** ხვალ, 10 აგვისტოს, საღამოსთვის კავკ. სამეურნეო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია სხდომა ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობისა. გამგეობამ უნდა განიხილოს რამდენიმე მიმდინარე საქმე.

**დაჯარიმება.** ტფ. გუბერნატორის განკარგულებით, სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისა გამო დაჯარიმებულ იქმნენ: სამ-სამი მანეთით ტფ. მოქალაქენი ივანე თუმანოვი, ალექსანდრე ბალდოევი, სოფიო ბუნტური, გრიგოლ ოტიევი, სპირიდონ ხვედელიანი, ივანე შერემენტიევი, მიხეილ ვილასგურევიჩი, ზაქარია მორაბიძე ზაქარია სოლოგუბოვი, სტეფანე სომხიევი, ივანე მელიქოვი და ეკატერინე მარკოვა.

**სურათების გადასაღებად.** შიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა გადასდო 2500 მანეთი მერძეობის ინსტრუქტორის ა. ა. ქალანთარის განკარგულებაში. ბ-ნ ქალანთარს ევალება, ამ ფულით გადაიღოს კინემატოგრაფის ლენტებზე სადემონსტრაციოდ სურათები.

**ტყუილი ცნობა.** ამ ორიოდე დღის წინად გაზ. „ზემშჩინა“-დან გადმობეჭდილი გვქონდა ერთი ამბავი, ვითომ სინოდს დაედგინოს ხელ-უხლებელი დასტოვოს საქართველოს საეგზარხოსო და საქმე ეგზარხოსის ნიკონის მოკვლის შესახებ დავიწყებას მისცეს. ეხლა მთავრობის დაწესებულება „ოსვედ. ბიურო“ აცხადებს, რომ საკითხი საქართველოს საეგზარხოსოს შესახებ სინოდს არ განუხილავს, ხოლო ნიკონის მოკვლის საქმე არ შეეძლო განეხილა, რადგან იმის კომპეტენციაში არ შედისო.

**„ნაკადული“.** მოგვივიდა საყმაწვილო ჟურნალის „ნაკადულის“ ორი ნომერი: მერვე (მოზრდილთათვის) და მეთხუთმეტე (მცირე წლოვანთათვის).

**ტელეფონი ტფილისსა და ბაქოს შუა.** მთავრობას განუზრახავს ტფილისსა და ბაქოს შუა ტელეფონი მოაწყოს. პროექტისა და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა უკვე მიუნდვიათ ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის მექანიკოსის კრასოვსკისათვის. დაახლოვებით ამ ტელეფონის მოწყობა დაჯდება 35,000 მანეთად.

**ყალბი ფული.** 18 იანვარს, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ნავთლუღის სადგურზე შეიპყრეს გორის მაზრის მცხოვრები სოლომონ ორჯონიკიძე. თან ორჯონიკიძეს გიტარა ჰქონდა. როცა ეს გიტარა შიგნით გასინჯეს, აღმოჩნდა შიგ 55,000 ყალბი ფული, სულ ათ-თუმნიანები. გაჩხრიკეს ორჯონიკიძის ბინა გორში და იქაც 57,000 მანეთის ყალბი ფული აღმოჩნდა. იქვე ნახეს სხვა მანქანა და მოწყობილება, ყალბი ფულის საჭრელად საჭირო. ორჯონიკიძე სამართლოში მისცეს. მისი საქმე ტფ. ოლქის სასამართლომ განიხილა 7 აგვისტოს, დამნაშავედ იცნო ორჯონიკიძე (52 წლის კაცია) და გადაუწყვეტა ოთხი წლით კატორღაში ხაგზავნა. ორჯონიკიძესთან ერთად სამართალში მიცემული იყო მისი ქალი ქნ. ლ. ჩურქეზიშვილისა, ამას ჰბრალდებოდა ყალბი ფულის გასაღება, მაგრამ სასამართლომ იგი უდანაშაულოდ იცნო.

**გუბერნატორის წერილი.** გუშინდელ „ზაკავკ.“-ში დაბეჭდილია ტფ. გუბერნატორის ბ-ნ ლოზინოლოზინსკის შემდეგი წერილი: „ზაკავკ.“-ს მე-144 ნომერში გაზეთ „დროებიდან“ გადმობეჭდილი იყო კორესპონდენცია სურამიდან 20 ივლის მომხდარ ამბის შესახებ. რადგან კორესპონდენციაში შემცდარი ცნობები იყო, გთხოვთ დაბეჭდოთ, რომ სროლა ასტეხეს ბოროტ-განმზრახველებმა, რომელნიც ემზადებოდნენ დასცემოდნენ სურამის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას, ამასთან იმათ ერთმანეთს კი არა, ბოქაულ ალპერტოვს დაუწყეს სროლა, რომელსაც ტყვია მოარტყეს ხმლის ქარქაშში. დაჭრილ და შეპყრობილ იქმნა ერთი ბოროტ-განმზრახველი“.

7 აგვისტოს, ღამის $11^{1/2}$ საათზე, ალექსანდრეს ქუჩაზე მცხოვრებმა კაპიტნის ქალმა ლიუდმილა სკაბიჩევსკისამ პოლიციას გამოუცხადა, რომ ივანიცკის პროექტორში როიალის დაკვრის დროს მომვარდა ნიკოლოზ ივანოვი და ამ სიტყვებით: „მე ვთქვი მოგკლავ და მოგკლავ კიდეცაო“ და მოკვლა დამიპირაო. ქალს მიეშველნენ პოდპორუჩიკი კოტლიარევი და სხვანი და გადაარჩინეს. ივანოვი დააპატიმრეს და პასუხის გებაში მისცეს.

აგვისტოს დიდუბეში დააპატიმრეს დიმიტრიევსკის მაზრის მცხოვრები ვასილ არტამანოვი, რომელიც 4 წელიწადი გაურბის სამხედრო ბეგრის მოხდას.

მიხეილის პროსპექტზე რიჩის ბაღის შესავალში ნიკოლაევსკის მცხოვრებმა გასათხუარმა ქალმა ნინო ტიაპჩენკომ (20 წ.) რაღაც მიზეზისა გამო კარბოლის სიმჟავე დალია და თავი მოიწამლა. მიზეზი უიმედო სიყვარული ყოფილა.

—

**შეცდომის გასწორება.** 5 აგვისტოს დროებაში ახალ ამბად მოხსენებული გვქონდა, რომ ჯაბაურმა ქ. რიგიდან გასათხოვარი ქალები მოტყუებით ტფილისში ჩამოიყვანაო. გვარი ჯაბაური შეცდომით გვქონდა მოხსენებული. უნდა იყოს კობაური და არა ჯაბაური.

# მოწერილი ამბავი

**კახეთი.** ყველამ იცის, თუ რა დიდ როლსა თამაშობს ჩვენის ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში მევენახეობა, მაგრამ ამასთან ერთად ისიც არ არის დაფარული, რომ ეს დარგი მეურნეობისა მოუწყობელი და მოუწესრიგებელია, რომ მწარმოებელთა ინტერესები არ არის დაცული. ყველამ იცის, რა იაფად საღდება თავი კახური ღვინო. ისიც იცის ყველამ, რომ ხშირად კახურის მაგიერ სხვა, შედარებით დაბალ ხარისხის ღვინოს ასაღებენ. კახეთში ღვინო ბლომად მოდის, მაგრამ ბაზარი არ არის არსებობს რამდენიმე ამხანაგობა („კხეთი“, „საერო“, „გლეხ მევენახეთა ამხანაგობა), მაგრამ ესენი ვერ ახერხებენ შეიერთონ ყველა მევენახემეღვინე, რომ სხვა ღვინოსთან მათიც გამოიტანონ ბაზარზე. ამხანაგობათა გარეშე დიდძალი მევენახე დატოვებული. ამათ ვერ მოუხერხებიათ ამხანაგობათა დაარსება და სხვის შემყურენი, მეტად ცუდ პირობებში არიან ჩავარდნილნი. იმათ ჩააქვთ ტფილისში ბოჭკებით ღვინო, აწყობენ რომელსამე სარდაფში და თვის-თვეობით შეჰყურებენ მყიდველს.

ერთი ასეთი სარდაფი ბ-ნ აბაკოვს აქვს, ამას იჯარით აქვს აღებული ხოსროევის ქარვასლაში ღვინის საწყობი სარდაფი. აქ აწყობენ ღვინოებს კახელები და ქირად თვიურად თითო ბოჭკაზე თითო მანეთს იხდიან. თუნდაც ორი დღე დარჩეს ბოჭკა, მაინც ქირა მანეთი უნდა გადაიხადოს ღვინის პატრონმა. ამას გარდა, ღვინის პატრონი ფულსაც სესხულობს ბ-ნ აბაკოვისაგან და სარგებელიც, რასაკვირველია, დიდია დადებული, თვეში თუმანზე ორი შაური. ხან ღვინო მალე გაიყიდება და მესამე-მეხუთე დღესვე უბრუნებენ ვალს კახელები და აბაკოვი ამ თუმანს ახლა სხვას აძლევს და ასე ხან ერთ თუმანს ხუთ-ექვს პირზე აძლევს თვის განმავლობაში და თითოსაგან თვეში (გინდა ერთი დღეც იყოს) ორ შაურს იღებს. ბ-ნ აბაკოვს თავის ღვინოებიცა აქვს. თუ ვინმე კარგი მყიდველი გამოჩნდა, ჯერ, რასაკვირველია, თავის ღვინოს მიჰყიდის და მერე სხვისას. ამას გარდა, სხვა და სხვა ადგილის ღვინოებიცა აქვს. მყიდველი ზოგჯერ ხამია. რა იცის—ყველა კარგად შეფერილი ღვინო კახური ჰგონია და ასე უბრალო ღვინოს კახურის ფასში ყიდულობს. სხვა ადგილების ღვინოები იაფად არის შეძენილი და, რასაკვირველია, გამყიდველი მოგებული რჩება. კახელი მეღვინეები კი შესცქერიან, აი დღეს გაიყიდება ღვინო, აი ხვალაო და ასე უდამდებათ წუთი-სოფელი მყიდველის შემყურე. როდესაც იმედ მიხდილი, თავბედს იწყევლი, ამ დროს სარდაფის მოიჯარადრე გეუბნება, თუ გინდა ამ ფასში მომეცი შენი ღვინო და მე ვიყიდიო. მეტი გზა არა აქვს, უნდა მიჰყიდოს მესამედ ფასში და გაუდგეს გზას. ხშირად 70-60-50 კაპეიკად ყიდულობს ბ-ნი აბაკოვი ისეთ ღვინოს, რომელიც ტფილისში ბოთლობით 40—50 კ. იყიდება.

ასეთია მდგომარეობა იმ მევენახეთა, რომელთაც ვერავითარი კავშირი ვერ დაუარსებიათ და სხვის ხელში არიან ჩავარდნილნი. ასეა დღეს, ასე იქნება შემდეგშიაც, თუ საქმეს როგორმე თითონ მევენახეებმა არ უშველეს. ეხლა ღვინის მოსავალს კარგი პირი არ უჩანს და ადგილი წარმოსადგენია, როგორ ასწევენ ფასებს ჩარჩები. თვით მეღვინე კი, ბევრიც რომ ეცადოს, ვერას გააწყობს და ღვინო კვლავ მცირე ფასად უნდა გაჰყიდოს.

**კახელი.**

—

**ხონი.** 23 ივლისიდან დრუბლიანი დღეები დაიჭირა. მაგრამ გავიდა 24 და 25 ივლისი და წვიმა არ მოსულა. 26 ივლის პატარა წვიმა მოვიდა, ხოლო 27 ივლისს გვარიანათ დაასველა წვიმამ დედამიწა.

როგორც მკითხველებმა იციან, ადგილობრივი ვაჟთა პროგიმნაზია დაარსდა 1907 წ. მაშინ გაიხსნა მხოლოდ ორი მოსამზადებელი განყოფილება და პირველი კლასი. 1908 წელს გაიხსნა მეორე კლასი. ეხლა ენკენისთვეში იხსნება მესამე კლასიც. მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ, პირველ, მეორე და მესამე კლასში დანიშნულია 25, 26, 27, 28 და 31 მარიამობისთვს.

ჟურნალ-გაზეთობას და თანამედროვე წიგნებს ხონში ნაკლები გასავალი აქვს. ხონში სამი ყოველდღიური გაზეთი მოდის,—„დროება“, „ჩანგი“ და „ზაკავკაზიე“. სამივე ერთად თუ 40 ცალი გასაღდა, კარგი უნდა. თითქმის ყველაზე მეტი გასავალი რუსულ გაზეთსა აქვს. რუსულ გაზეთს მეტი გასავალი აქვს იქ, სადაც ერთი რუსიც კი არ მოიპოება!

2 მარიამობისთვეს გამართეს წარმოდგენა. წარმოადგინეს „კვალ და კვალ“—კომედია 3 მოქ. და ერთ მოქმედებიანი ვოდევილი,—„არც აქეთ, არც იქით“. როდები ყველამ იცოდა და წარმოდგენა ცოცხლად ჩაატარეს. კარგი არ იყო, რომ სცენაზე მომქმედნი პირნი უდრო-უდროდ იცინოდნენ. ხალხი ბლომად დაესწრო.

**გ. ფახუნჯი.**

# ქართულ ლიტერატურის გაცნობა უცხოელთა მიერ

(წერილი რედაქციის მიმართ)

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ამ პატარა წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში.

„დროების“ მე-155 ნომერში სწერია: „ფრანგულ ცნობილ ჟურნალ „მერკიურ დე-ფრანსის“ 16 ივლისის ნომერში დასტამბულია წერილი მ. კ. პუანსოსი და მ. გობეჩიასი „თანამედროვე ქართულ ლიტერატურის“ შესახებ. დიდად სასიამოვნოა და აღსანიშნავი ის ფაქტი, რომ ასეთს ჟურნალში დაისტამბა წერილი ქართულ ლიტერატურის შესახებ; მადლობის ღირსია აგრეთვე ბ-ნი გობეჩიაც, რომელსაც უთუოდ ეკუთვნის ინიციატივა (?) ამ წერილის დასტამბვისა, მაგრამ ვერ დავფარავთ, რომ წერილი ძალიან სუსტად არის შედგენილი. ჯერ ერთი, აკლია სისტემა, მეორე, გამოტოვებულია ისეთი მწერლები, რომელთაც უკვე სახელი აქვთ მოხვეჭილი ჩვენს მწერლობაში, მაგალითად: ქართულ ისტორიის ჰკვლევართა შორის მოხსენებულნი არიან პროფესორები მარრი და ჯავახიშვილი, რომელთა/ც ფრიად სერიოზული ღვაწლი მიუძღვით ქართულ ისტორიის კვლევა-ძიებაში. ყოველ შემთხვევაში ეს პირველი ცდაა და როგორც ასეთს, სიხარულით უნდა მივეგებოთ“

ჩემის მხრივაც მადლობას ვუთვლი „დროების“ შემნიშვნელს, მხოლოდ მისი შენიშვნა მთლად სწორე არ არის. ჩემი და ჩემის მეგობრის ცნობილ ფრანგ მწერლის მარლ პუანსოს წერილები ქართულ ლიტერატურის შესახებ პირველად არ დასტამბულა ფრანგულ გავრცელებულს ჟურნალ-გაზეთებში მაგალითად: გაზეთ „აქსიონის“ გასულ 26 დეკემბრის ნომერში (სურათებიან დამატებაში) დაისტამბა „იუბილეი დიდებულის პოეტისა“ (Le jubilé d'un grand poéte) სალიტერატურო მიმოხილვითურთ, (პტიტ რეპუბლიკის“ სხვა და სხვა ნომერში მოთავსებულია მოთხრობის ფორმით „ნათელა“ აკაკისა, „განდეგილი“ ილია ჭავჭავაძისა, „გამზრდელი“ აკაკისავე.

ჩვენს საზოგადოებას, რომელიც მარტო რუსულ [illegible] იკვებება, რასაკვირველია, [illegible] დინებოდა [illegible] სებდა. რაც შეეხება კერძოდ „მერკურ დე ფრანსში“ მოთავსებულს ვრცელს წერილს, რომელსაც „დროების“ შემნიშვნელი სისუსტესა და უსისტემობას სწამებს, კარგი იქნებოდა ჩვენთვის ეჩვენებინათ ნიმუშები უფრო „ძლიერისა და სისტემატიურის“ წერილებისა ამ საგანზე ფრანგულად, გინ და ქართულადაც. ცენტრი წერილისა ილია ჭავჭავაძისა და აკაკის დახასიათებაა, რომლის ჩარჩოს შეადგენს მხოლოდ მოკლე ისტორიული განხილვა და ახალ მწერალთა აღნიშვნა, და რადა გასაკვირველია, რომ მარრი, ჯავახიშვილი და ზოგიერთი სხვაც გამოგვრჩა სრულიად უნებურად, მით უფრო, რომ მათი ნაწარმოებნი პარიზის ნაციონალურს ბიბლიოთეკაში ვერა ვპოვეთ*).

რაკი სიტყვამ მოიტანა, არ შემიძლიან არ მივაქციო ჩვენის ლიტერატურის მეგობართა ყურადღება შემდეგს გარემოებას. ჩვენში სულ იმას წუწუნებენ, რომ უცხოელნი არ გვიცნობენო და თითსაც არა სძრავენ ამ გასაცნობად. მართლაც, საქართველოზე ყველას ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს. და ეს ქვეყანა ამერიკაში ჰგონიათ. რამდენი კამათი გქირია, რომ სარბონაში, ან „ვილდე პარი“-ში თავი „ქართველად“ ჩააწერინო, „რუსებად“ გწერენ! რამდენი ცდა გქირია, რომ საქართველოს შესახებ წერილი დასტამბო ფრანგულს ორგანოში, ვერა გშველის თვით გავლენიან ფრანგ მწერლების პროტექცია და ხელის მოწერა. მე გადაწყვეტილი მაქვს შარლპუანსოს დახმარებით და ზოგიერთ პარიზელ ამხანაგის თანამშრომლობით ფრანგულ ჟურნალის მთელი ერთი ნომერი შევსწირო ქართულს ლიტერატურას. ბ-ნი პუანსო უკვე დამთანხმდა და უთმობს ამ საგანს თავის საკუთარ ჟურნალ „პაჟ მოდერნის“ მთელს ნომერს, სადაც მოთავსებული იქნება რამდენიმე წერილი: 1. ისტორიული; 2. კრიტიკული, ბიბლიოგრაფიული და ბოლოს 3. თარგმანი ლექსად და პროზად საუკეთესო ნაწარმოებთა ადგილებისა.

პორტუგალებმა, პოლონელებმა, სომხებმა უკვე გამოაცემინეს კიდეც თითო ნომერი თავიანთ ქვეყანათა შესახებ. მთლად ჩვენს მწერლობას მონდომებული ნომერი, რასაკვირველია, ჩვენისავე ხარჯით უნდა დაიბეჭდოს და მცირეოდენი ჰონორარიც საჭიროა. ამას არ მოუნდება მაინც დიდი თანხა და წ.-კ. საზოგადოებასთან შეკედლებულ სალიტერატურო ფონდთა (ილიასი, აკაკისა და წინანდელი) გამგეობის პირდაპირი საგანია ამ საქმის მოგვარებას ხელი შეუწყოს მატერიალურად. ამის შესახებ ეგზავნება განცხადება წ.-კ. საზ. გამგეობას. დავინახოთ რას იტყვიან.

პარიზი. **მელიტონ გობეჩია.**

*) საჭიროა ჩვენებურმა გამომცემლებმა თავიანთ გამოცემათა თითო ცალი მაინც უსჭდელად გამოგზავნონ ნაციონალურს ბიბლიოთეკაში, რომელსაც წიგნები მესხდის მთელის ქვეყნიდან.

# სპარსეთი

**რუსეთს ჯერ არ გამოჰყავს ჯარი.** რუსულ და უცხოეთის გაზეთებში ამას წინად ცნობა იყო დაბეჭდილი, რომ რუსეთის სამინისტრომ თათბირი მოახდინა სპარსეთის საქმეებზე და ინგლისთან შეთანხმებით გადასწყვიტა, რუსის ჯარი ყაზვინიდან 15 აგვისტომდე გამოიყვანოსო. რუსულ გაზეთებს შეუტყვიათ ეხლა, რომ ეს ცნობა მართალი არა ყოფილა; რუსის ჯარი ყაზვინში დარჩება თურმე, ვიდრე სპარსეთში სრული მშვიდობიანობა არ დამყარდება. არა მართლდება აგრეთვე გაზეთებში დაბეჭდილი ცნობა, რომ ინგლისელებს თავიანთი ჯარი გამოჰყავთ ბუშირიდანაო. (გ. მ.)

**ახალი საარჩევნო კანონი.**

ახალი საარჩევნო კანონი, რომლის თანახმადაც ამ დღეებში სპარსელებმა აირჩიეს მეჯლისის დეპუტატები, ჯერ კიდევ მამედ-ალი შაჰმა დაამტკიცა, წარსულ მაისის დამდეგს, თავრიზის ენჯუმენის გულის მოსაგებად.

უმთავრესი განსხვავება ამ ახალ კანონისა ძველისაგან იმაში მდგომარეობს, რომ სრულიად გაუქმებულია ამომრჩევლების გაყოფა წოდებრივ კურიებად. მარტო ქრისტიანები, ურიები და ცეცხლის თაყვანის-მცე-

---

...ოდეს ყურობენ ცხოველნი სიღნა...ღისანი, მთანი კავკასიონისანი ალაზ...ნის ველთან მეჯლიშობენ, და ნიავ...ნი ყვავილთა თანა მუსაიფობენ; ...ოდეს ტრფიალება გულსა შიგან ...სჭიმავს სიმს სიყვარულისას,—სამსა ...მოქალაქესა სიღნაღისასა მოსდომებიათ სმენისა დატკბობა და გულისა ათრთოლება მუსიკით. დაბასა მას ყოფილან მემუსიკენი უსინათლონი და უხმიათ იგინი თვისთა თანა აივანზე, სადაცა ყოფილა ტრაპეზი მ...ილითურთ და კუჭსაკვებითა და სასუმელით. უკრავთ ტაბლაკისათვის ბრმათა მათ, ქიანურისა ჰაგნი მისცემიან ნიავისა ფრთათა და თარისა კვნესანი გულისა ტრფიალებას, ხოლო მთვარე აცისკროვნებდა მოლიმარ ჭაბუკთა სახეს. მაგრამ,—ჰოი, მეუფეო!—უცბად იგრგვინა ცამან, იჭექა ქუხილმან, გაიკრიალა ელვამ, დაიჩხრიალეს თებშებმა და შეიქმნა ბნელი. ხოლო სიბნელიდან მოესმათ ხმა მოქალაქეთ:

—ალახვენით ბჭენი თქვენი, მთავარნო, და შემოვიდეს მეუფე ურიათა!

— ვინა არს ესე მეუფე ურიათა?

— ბოქაული არს მეუფე ურიათა.

— ხმალი მისი კისერთა ჩვენთა ზედა და კისერთა შვილთა ჩვენსა ზედა, ვიდრე ოდენ მეშვიდე თაობამდე!

„ოსანა მაღალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი!“

მაშინ მეუფე იგი ავიდა აივანსა მას ზედა, წარატყვევნა ბრმანი და კოჰლნი, თარნი და წინწილ-ქიანურნი, რომელთა შიგან ჩამჯდარიყო რევოლიუცია, ხოლო ჭაბუკნი თავისუფალი ჰყო უმუსიკოდ განკვირვებულნი, გაწბილებულნი, და გულის ხმას ჰყოფდნენ თვისად: ნეტარ არს მოქალაქე, აგარაკსა რომლისასა არა შეეკრას მეუფე, ნეტარ არს მოქალაქე მპყრობელი ჯოხისა, რამეთუ განაგდოს თვისგან მკბენარი

* * *

მაგრამ სიღნაღი თუ ნეტარარიანს ლუღლუღებს, არც თელაველებს დავიწყებიათ თქმულები იგი: მიეცით კეისარისა კეისარს, ხოლო უფლისა უფალს. მათ სულიც ახსოვთ და ხორციც. მათ თუმცა უპირველესად ყურადღება მიაქციეს სულს, მის განსპეტაკებას, აღზრდას განათლებას, რისთვისაც უკვე გადასწყვიტეს გიმნაზიის დაარსება, მაგრამ ხორციც არ დავიწყებიათ. პირიქით, არა თუ არ დაჰვიწყებიათ, თურმე სულს სული ხორცით უნდათ ჩაუდგან. სული უხორცოდ თურმე მკვდარი ყოფილა, ისე როგორც გიმნაზია, თუ წელიწადში მოსწავლემ რვა თუმანი არ გადაიხადა. ამაზე ნაკლებ თურმე ვერც ცხონდება იგი.

ჩვენ რასაკვირველია მოხარულნი ვართ, რომ თელაველები უსაქმობის დროს საქმეს შესდგომიან, მაგრამ 11,810 თელაველ მცხოვრებისათვის სამოთხეში მხოლოთ ისინი ამოჰყოფენ თავს, ვისაც ოთხმოცი ქანქარი ექნებათ, დანარჩენები კი დარჩებიან სამოთხის გარედ. მაშასადამე, მათ გიმნაზიას ეღირსებიან მხოლოდ ისინი, ვისაც ქვაცა აქვს და კაკალიც, ვისაც არა, პირი უნდა აწკაპუნონ გარედან, რამეთუ, კეისარი თავისას მოითხოვს.

**ირა.**

მელი ფირსები შეადგენენ ცალ-ცალკე კურიებს და საითაო დეპუტატს ირჩევენ მეჯლისში გასაგზავნად. დანარჩენ ხალხისთვის კი დაწესებულია საყოველთაო საარჩევნო უფლება. მეჯლისის დეპუტატთა რიცხვი შეცირებულია 120-მდე; წინად მათი რიცხვი ადიოდა 200-მდე. ამომრჩეველი უნდა იყოს 20 წლისა, წინად-კი მარტო 25 წლისას ჰქონდა საარჩევნო უფლება, ხოლო დეპუტატი უნდა იყოს 30 წლისაზე არა ნაკლები ხნისა და 70 წელზე არა უხნესი; ყველა დეპუტატმა უნდა იცოდეს სპარსული წერა-კითხვა. სახელმწიფო სამსახურში მყოფმა პირებმა, თუ მეჯლისის დეპუტატად აირჩიეს, უნდა თავი დაანებონ სამსახურს. არჩევანი საიდუმლოა, მაგრამ არა პირდაპირი; ჯერ ამომრჩევლებს ირჩევენ და მერე ესენი თავიანთ შორის ირჩევენ დეპუტატებს. მომთაბარეთა ტომები არჩევნის დროს უნდა გამოცხადდენ მახლობელ ქალაქში და იქ ქალაქელებთან ერთად აირჩიონ დეპუტატები.

**საფინანსო კომისია.**

უმაღლეს კომისიის გარდა, დაარსეს საფინანსო კომისია, და რომელშიაც 18 კაცი აირჩიეს. მის თავმჯდომარედაა ფინანსთა მინისტრი მუსტაფა-ელმემალეკი. ამ კომისიამ უნდა მოაწესრიგოს სპარსეთის საფინანსო საქმეები.

**ლიახოვის აზრი სპარსეთის საქმეებზე.**

ლიახოვი, რუსეთში დაბრუნების შემდეგ, თითქმის ყველა რუსულ გაზეთის თანამშრომელს ესაუბრა სპარსეთის საქმეებზე. იგი ყველას ერთსა და იმავეს ეუბნევა. სპარსეთში დიდი არეულობა და სისხლის ღვრაა მოსალოდნელი: ჯერ არავინ იცის, რით გათავდება იქ საქმეო და სხვა. ლიახოვს უთქვამს „გოლ. მოსკვი“-ს თანამშრომლისთვის, რომ ბოლოს დროს სპარსეთში მეტად დიდ როლს თამაშობდა ოსმალეთიო, მისი წარმომადგენლები დიდის მოხერხებითა და სიმარჯვით მოქმედებდნენ და ბეჯით აგიტაციას ეწეოდნენ სპარსელებშიო.

# ოსმალეთის ამბები

**დარდანელის სრუტის საქმე.**

„კასპის“-ს ატყობინებენ სტამბოლიდან: „სულთანმა ბრძანება გამოსცა, რომ რუსეთის ორს სამხედრო გემს დარდანელში გავლის ნება მიეცეს.“

**აბდულ-ჰამიდი ავადაა.**

აბდულ-ჰამიდი გულის წიდილით ხდა ავად. მან უარი სთქვა ოპერაციაზე.

**უმაღლეს სამკურნალო სკოლის გახსნა.**

მთავრობამ გადასწყვიტა უმაღლესი სამკურნალო სასწავლებელი გახსნას ქალ. სალონიკში. ფინანსთა მინისტრმა ამ საქმისთვის 15,000 გირვანქა სტერლინგი გადასდვა.

**მაკედონელ ბოლგართა შეერთება.**

ქალ. სოფიაში მყოფი მაკედონელი მოღვაწეები ირწმუნებიან, რომ ამ მოკლე ხანში მაკედონელ ბოლგართა ყველა პარტია შეერთდებაო. სანდარსკის მომხრეები ამბობენ, მზადა ვართ მივიღოთ მაკედონელ კონსტიტუციონალისტების პარტიის პროგრამა ეკლესიისა, სასწავლებლებისა და ეროვნებათა თანასწორობის შესახებ, მაგრამ ამავე დროს მოვითხოვთ, რომ მაკედონელმა ბოლგარებმა მკვიდრი მეგობრული განწყობილება იქონიონ ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტებთანაო.

# საყოველთაო გაფიცვა შვეციაში

საყოველთაო გაფიცვა სრულის წესითა და რიგით მიმდინარეობს. უცხოეთის პრესაში არეული ერთი მეორის წინაამდეგი დეპეშები იბეჭდება გაფიცვის შესახებ: ხან სწერენ, გაფიცვა ძლიერდებაო, ხან სულ წინააღმდეგს ცნობას ბეჭდვენ: გაფიცვა სუსტდებაო. მრეწველთა გაზეთები არა თუ მარტო შვეციაში, სხვა ქვეყნებშიაც, ცნობებს ავრცელებენ, ვითომ გაფიცვა სრულის მარცხით გათავდაო, მაგრამ ეს გაზეთებიც კი იძულებულნი არიან გამოტყდნენ, რომ მუშაობა მხოლოდ შეუკავშირებელ შავ მუშებმა მცირე რიცხვმა დაიწყო და რომ ეს მუშები, როგორც გამოუცდელები, ცუდად ასრულებენ თავიანთ მოვალეობასო.

მეორეს მხრით, მუშებს უფრო და უფრო აღელვებს შტრეიკბრეხერების მოქმედება; ზოგიერთ ადგილის გაფიცულმა მუშებმა უკვე მოახდინეს დემონსტრაციები იმ ტრამვაებისა, მეეტლებისა და სხვების წინააღმდეგ, რომლებიც განაგრძობენ მუშაობას.

მუშები მოუთმენლად ელოდებოდნენ რკინის გზის მუშების გაფიცვას. უფსალა-გეფლეს რკინის გზაზე უკვე დაიწყეს გაფიცვა. დიდ აგიტაციას ეწევიან სავაჭრო გემების მეზღვაურებშიაც. მუშათა კომიტეტის ანგარიშით გაფიცულ მუშათა რიცხვი ადის 350 ათასამდე, მათ შორის 100-მდე შეკავშირებული მუშაა. კომიტეტი აცხადებს, რომ ამ ჟამად დიდ ძალი შეუკავშირებელი მუშა შედის მუშათა კავშირებშიო. მუშების უმეტესობა უკვე ცარიელ პურსა სჭამს, მაგრამ მაინც ბრძოლაზე ხელის აღება ჯერ ფიქრადაც არავის მოსდის.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და მუშათა ორგანიზაციებმა 3 აგვისტომდე 350,000 მარკა გაუგზავნეს გაფიცულ შვეციელ მუშებს.

3 აგვისტოს შვეციის ზოგიერთ ადგილებში გაიფიცნენ სოფლის მუშები.

სტოკჰოლმის მოქალაქეები ბეჯით აგიტაციას ეწევიან და მოითხოვენ, რომ დაუყოვნებლივ შეიკრიბოს პარლამენტი, რომელმაც უნდა შესცვალოს კანონები მუშების დაქირავებისა და კოლექტიურ ხელშეკრულობის შესახებო.

მუშათა კომიტეტმა მოწოდებით მიჰმართა წყლის მილის მუშებს და ბეჯითად სთხოვა, თქვენის მოვალეობის ასრულება განაგრძეთო. კომიტეტი სწერს ამ მოწოდებაში: „მხოლოდ უვიცები თუ ურჩევენ მუშებს წყლის მილზე მუშაობის მოსპობას, რადგან წლის მილის შეჩერებას მოჰყვება აუარებელი საშიში შედეგი; ცეცხლი, სნეულების გაძლიერება და სხვა მრავალი უბედურებაო“.

მეთაურები მუდამ მოთმენასა და თავდაჭერილობას ურჩევენ მუშებს, და ისინიც აქამდე ბეჯითად ასრულებდნენ მეთაურების რჩევას.

# ოსმალეთ-საბერძნეთის დავა

**საუბარი ხილმი-ფაშასთან.**

ოსმალეთის დიდ ვეზირს ხილმი-ფაშას უთქვამს „რ. სლოვო“-ს კორესპონდენტისათვის: სახელმწიფოებს როდი ურჩევიათ ჩვენთვის ზომიერება, რადგან ჩვენ უამისოდაც მუდამ ზომიერად ვიქცეოდით. გარდა ამისა, ეგეთი რჩევა—ჩვენი შეურაცხყოფა იქნებოდა. სახელმწიფოებმა მხოლოდ სურვილი განაცხადეს, რომ მშვიდობიანობა არ დაირღვესო, მაგრამ ჩვენც მუდამ მშვიდობიანობის დაცვა გვსურდა“.

**ბოიკოტი.**

ახალ-გაზრდა ოსმალთა კომიტეტის მიერ გამოცხადებული ბოიკოტი ბერძნის საქონლის წინააღმდეგ მთელს ოსმალეთში გავრცელდა. სმირნასა, გალიპოლოისა, პანდერმსა, როდოსტოსა, ტრაპიზონსა, ალანასა და სტამბოლში ბერძნის გემებს არცა სცლიან, არცა ტვირთავენ. ზოგიერთმა გემმა სხვა სახელმწიფოების ბაირაღი გაშალა, მაგრამ ამ ხერხმაც ვერ უშველა. ბერძნის მეგემეთა საზოგადოებები დიდს გაჭირვებაში ჩაცვივდნენ.

საბერძნეთის ელჩმა გრიპარისმა ამის თაობაზე პროტესტი გამოუცხადა ოსმალეთის მთავრობას, მაგრამ ვერას გახდა.

ოსმალელ მეგემეთა საზოგადოების მექანიკები მოითხოვენ, რომ საზოგადოებამ თავის გემებიდან დაითხოვონ მოსამსახურე ბერძნები.

ახალ-გაზრდა ოსმალთა კომიტეტმა სთხოვა ხალხს, ოსმალეთის ქვეშევრდომი ბერძნები გაარჩიონ საბერძნეთის ქვეშევრდომ ბერძნებისაგან, ბოიკოტი მხოლოდ საბერძნეთის ქვეშევრდომების წინააღმდეგაა გამოცხადებულიო.

# რუსეთი

**უვიცობა.** „რუსკ. სლოვო“-ს კორესპონდენტი დაბა ალექსანდროვკაში მომხდარ ამბის შესახებ დამატებით ცნობებს იუწყება. კორესპონდენტი სწერს: დაბა ალექსანდროვკა პსკოვის ტბის კუნძულ ტალაბაკზე მდებარეობს. სოფელი მივარდნილ ალაგასაა გაშენებული. მცხოვრებლები მეთევზეობას მისდევენ და ეს შეადგენს მათ უმთავრეს შემოსავალს. მცხოვრებლები ნახევრად მშივრები, ტიტვლები დაიარებიან. კულტურის ნასახს ხომ ვერ იპოვნით. ჯერ კიდევ ზაფხულის დასაწყისს, როდესაც აქ იურიევის უნივერსიტეტის სტუდენტები, პროფესორის მეთაურით, ტბის დასათვალიერებლად და შესასწავლად ჩამოვიდნენ, დაბის მცხოვრებლებმა მაშინვე ხმა დაჰყარეს, სტუდენტები ხოლერის გასავრცელებლად ჩამოვიდნენო. ეს ხმა ისე გავრცელდა, რომ როდესაც ალექსანდროვკაში ხოლერა გაჩნდა, მცხოვრებლები ძალაზე იდგნენ, ავადმყოფებს არავის დავანებებთ, საავადმყოფოში არ გავგზავნითო. სანიტარებს და ექიმებს დიდი შრომა სჭირდებოდათ, რომ ავადმყოფი საავადმყოფოში მოეთავსებინათ, უმეტეს შემთხვევაში პოლიცია ერეოდა საქმეში. ამასობაში თანდათან ვრცელდებოდა ხმა, რომ ხოლერიანებს ძალად ხოცავენ და ცხელ წყალში ხარშავენო. როდესაც რამდენიმე ხოლერიანი გარდაიცვალა, მცხოვრებლების უკმაყოფილებას ხომ საზღვარი არა ჰქონდა. აკი ვამბობდით, ძალად ხოცავენ, ცხელ წყალში ხარშავენო. სხვათა შორის ერთმა დედაკაცმა სოფლის ყრილობაზე განაცხადა, სანიტარების რაზმის უფროსი სტუდენტი—მედიკი ვოლიანსკი ზაფხულის დასაწყისში იურიევის უნივერსიტეტის სხვა სტუდენტებთან ერთად დაბა ალექსანდროვკაში იყო და პსკოვის ტბაში „ხოლერის პოროშოკი“ ჩაყარაო. ნამდვილად ვოლიანსკის იურიევის უნივერსიტეტის სტუდენტების ექსკურსიაში მონაწილეობა არ მიუღია. ამის შემდეგ „ხოლერის ექიმს“ (ვოლიანსკი ასე მონათლეს გლეხებმა) უფრო ცუდად დაუწყეს ცქერა. მცხოვრებლები აღარავის ერიდებოდნენ და საქვეყნოთ აცხადებდნენ:

— ეგ თუ არ მოვკალით, ყველას მოგვწამლავსო.

და აი 28 ივლისს ალექსანდროვკას მცხოვრებლებმა კინაღამ სისრულეში მოიყვანეს თავიანთი განზრახვა.

ამ დღეს სოფლის ყრილობა იყო დანიშნული. სოფლის ყრილობას უნდა განეხილა საკითხი, რა მიზეზია, რომ ხოლერა გაჩნდაო. ყრილობის დაწყებისთანავე ზოგიერთებმა პირდაპირ განაცხადეს:

— რაღა უნდა განვიხილოთ? ისედაც აშკარაა, რომ ხოლერა სტუდენტებმა გააჩინეს და გაავრცელესო.

სწორედ ამ დროს სოფლის ყრილობას მიუახლოვდა სტუდენტი ვოლიანსკი. გლეხებმა მის დანახვაზე ერთი ყვირილი შეჰქმნეს:

— აი ჩვენი დამღუპველი, მომწამვლელი, დაუძახეთ, აქ მოვიდეს!

ვოლიანსკი რას იფიქრებდა, რომ გლეხები მოკვლას დაუპირებდნენ და არხეინად გასწია გლეხებისკენ. მის დანახვაზე გლეხებმა ერთი ვაი-უშველებელი ასტეხეს:

— დაიკარგოს აქედან, გააგდეთ მომწამვლელი...!

ვოლიანსკიმ გაცლა ამჯობინა და ყველაფერი ეს პოლიციას აცნობა. სოფლის ყრილობა შესწყდა. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად დაიშალა და ვოლიანსკის სახლისკენ გაეშურა. თითქმის ყველანი ყვიროდნენ:

— ვოლიანსკი უნდა მოვკლათ. გვეყოფა, რაც მოგვწამლა...

ვოლიანსკიმ საშველად მამასახლისს მიმართა. მამასახლისი ნავის საშოვნელად წავიდა, რომ სტუდენტი ტბით სხვაგან წაეყვანა. გლეხებმა, რომ ეს შენიშნეს, ახლა მამასახლისს მისცვივდნენ, ეგა მაგას, ეგეც „იმათია“. მამასახლისს უწყალოდ დაუწყეს ცემა.

— ფერშალი ვოლკოვი სად არის? ისიც უნდა თან მივაყოლოთ ვოლიანსკის.

როგორც იყო მამასახლისი გამხეცებულ ბრბოს ხელიდან გაუსხლტა. ყველაფერი ეს პოლიციის სამართველოსთან ხდებოდა. პოლიციელი ივანოვი დარაჯების თანხლებით კარში გამოვიდა. მან ხალხის დაშოშმინება მოინდომა და, სხვათა შორის ისეთ საშუალებას მიმართა, როგორც მეთაურების ხელის ჩამორთმევა და სხვა. ამან უფრო გააღიზიანა ბრბო. ვოლიანსკი შეეცადა ხალხის დარიგებას. ხალხი მართლაც უცებ დაწყნარდა. მაგრამ ქუჩაში გამოსვლისათანავე ბრბომ წააქცია ვოლიანსკი და ცემა დაუწყო. ვოლინსკის ორი გლეხი მიემხრო. ბრბომ მათაც სცემა, მაგრამ ესენი არ შეშინდნენ და ვოლიანსკი ტბამდის მიიყვანეს, სადაც უკვე მზად იყო ნავი, მაგრამ აქაც დაბრკოლება აღმოჩნდა. ნავის პატრონმა უარი განაცხადა, „სტუდენტს“ ნავს როგორ მივცემო. ვოლიანსკი ბრბომ წყალში გადააგდო. მან როგორც იყო მოახერხა გამოსვლა და ნავში ჩაჯდა. ბრბომ აქაც ცემა დაუწყო ვოლიანსკის. ვოლიანსკის ნავის მუშები მიეშველნენ და ნამეტან „წათამამებულებს“. ნიჩბებით გაუმასპინძლდნენ. როგორც იყო ვოლიანსკიმ თავი დაიხწია. ამის შემდეგ ბრბო ფერშალ ვოლკოვის სახლისკენ გაეშურა. ბრბომ ვოლკოვს უწყალოდ სცემა და 100 მანეთი წართვა. ვოლკოვის ცემის შემდეგ ბრბო ხოლერიანთა საავადმყოფოს დასაწვავად გაემართა, მაგრამ ზოგიერთების რჩევით საავადმყოფო აღარ დასწვეს, მხოლოდ ავადმყოფები სახლებში წაიყვან-წამოიყვანეს. გასაკვირველი ის არის, რომ როდესაც მაზრის უფროსი მოვიდა პოლიციელმა ივანოვმა საქმე ისე აჩვენა თითქო ყველაფერში ვოლიანსკი და ვოლკოვი ყოფილიყვნენ დამნაშავენი, მაგრამ საქმე მალე გამოირკვა და გუბერნატორმა ივანოვი სამსახურიდან დაითხოვა და სამართალში მისცა“. ამავე კორესპონდენტის ცნობით დაბა ალექსანდრიევის მცხოვრებლები, მეთაურები, რიცხვით 42 კაცი უკვე დააპატიმრეს.


# განცხადებანი

**პირველი კერძო სამკურნალო**

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირების გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**უ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ბეკტიბაბაშვილი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1—2 ნახ. საათამ საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. ვ. გვევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ა. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—146)

# ტფილისის საეპარქიო ქალთა სასწავლებლის

საბჭო აცხადებს, რომ საჭიროა ერთი წლის ვადით პანსიონისთვის სურსათის დამმზადებელი მოიჯარადრე.

პირობების გაგება შეიძლება სასწავლებლის კანცელარიაში. (1 ნ. 1)

# საბუხჰალტრო კლასსები

**ი. ფონ-ბრენნერისა**

დაარსებული 1890 წ. ტფილისში, ნაპერეხის ქ., ეგერის ხიდთან.

სპეციალური საკომერციო სასწავლებელი ორივე სქესისათვის. მიიღებიან 15 წლისაზე არა უმცროსნი. ამ კლასსებში ამზადებენ ბუხჰალტრის, კორესპონდენტის, აგენტის და სხვა თანამდებობებზე მთავრობის, სიზოგადოებრივ და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში. **სამაგალითო სასწავლებელი. საუკეთესო მასწავლებელნი.** 19 წლის განმავლობაში ათასობით ყმაწვილმა კაცმა გაათავა სწავლა, რომელთაც დღეს პასუხ-საგები ადგილები უჭირავთ. დაწვრილებით პროგრამებში. თხოვნების მიღება უკვე დაიწყო. სწავლა 15 სექტემბრიდან. კანცელარია ღიაა ყოველ დღე. (15—ბ.—9)

**ვაჭრობისა და მრეწვ. სამინისტროს უწყებაში მყოფი**

# საბუხჰალტრო კურსები

# ნ. ვ. აბრამიანისა.

ტფილისი, ნიკოლოზის ქ., 22, საკ. სახლი, ტელეფონი N 744.

კურსები „ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოს“ ავტორისაა. ეს სახელ. მოწონ. საკომერც. სასწავლებლისთვის ფინან. სამინისტროსაგან.

კურსები ორივე სქესისთვისაა. სწავლის ვადა 4 თვე. სწავლა დაიწყება 15 სექტ. 1909 წ. და იქნება ყოველ დღე. პროგრამები და წესები უსასყიდლოდ იგზავნება. მიღება ყოველ დღე 15 აგვისტოდან.

კურსებთან სუსტად მომზადებულთათვის არსებობს მოსამზ. კურსები. ვინც ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოს გაიწერს ავტორისაგან, გასაგზავნ ფასს არ გადაიხდის. წიგნი ღირს 3 მ. 50 კ. (0—ხალ.—2)

# გადასდეთ ორი მანეთი თქვენის ბედის საცდელად!

**ამ ორი მანეთით მოიგებთ 2500 მანეთს!**

გამოგზავნეთ დაუყოვნებლივ ორი მანეთი და თქვენი საკუთრება იქნება მთავრობის მე-193 ლატარიის მეორე კლასის ტირაჟისთვის ბილეთის 1/4. მოგებათა ტირაჟი მოხდება 27 და 28 აგვისტოს და რადგან ამ ტირაჟში მონაწილე ბევრია, ურჩევთ ყველას, დააჩქარონ ფულის გამოგზავნა. ფულის მიღებისათანავე თქვენ გამოგეგზავნებათ მოწმობა, სადაც აღნიშნული იქნება თქვენი ნომერი. ტირაჟის შემდეგ ყველა მონაწილეს გაეგზავნება მოგებათა ოფიციალური ცხრილი. მოგების დროს მოგებს ეს ამბავი დეპეშით ეცნობება და მოგებული ფული იქ გაიგზავნება, სადაც იგი ცხოვრობს. ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს:

**კანტორა შ. ფრენზელისა, ვარშავა, პანსკაია № 36.**

სრული ბილეთი ღირს 8 მანეთი (მოგება 10,000 მანეთია), ნახევარი ბილეთი—4 მანეთი (მოგება 5,000 მანეთი). (3—ფ.—1)

**ი. ახობაძე—ნეკრასოვის ქ. № 14, ვორონცოვის ძეგლის ახლო.**

# ავადმყოფებს და სუსტებს

**სპერმატინი** თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობით, თუ ჯანი გაიტეხეთ, ნერვები დაისუსტეთ ან ესა თუ ის სენი გჭირთ, სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით: არის „სპერმატინი“. იგი სასურველ შველას მოგცემთ. მას არ მიიძლება მედიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედებს, არა! ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია, იგი ცხოვრების ესენციაა, იგი ძალის მომმატებელია. „სპერმატინი“ მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, აშორებს რა მავნე ელემენტებს. ჰხვდება რა იქ, სადაც უჯრედები ორგანიზმში რაიმე სენის ან სიბერის გავლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის“ ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყებენ ნაყოფიერ მუშაობას უჯრედების აღსადგენად, აწვდიან მას ახალ სისხლს და ახალ ძალას და ამით შეძლებას აძლევენ ბრძოლისას როგორც სენთან, ისე ყველაფრის განმანადგურებელ დრო-ჟამთან. „სპერმატინი“ შედეგია ბროუნ-სეკარის მესანიშნავ აღმოჩენისა. ჰშველის ყველაფერს: სისხლ ნაკლებობას, ძალის სისუსტეს სიბერეში, მარაზმს, დაუძლურებულ ნერვიულ სისტემას, მამაკაცის სიუძლურეს გადაჭარბებულ დაღლილობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს, ონანიზმის შედეგს და წითელ ქარს, სიფილისს, სურავანდს, დამბლას, სქესობრივ მოჭარბებულ ურთიერთობის შედეგს, ზერზემლის ტვინის სატკივარს, ჭლექს, ქარებს, ქრონიკულ შუცლის შეკვრას და სხვას ეს საშუალება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

**თითო შუშის ფასი 2 მან. 40 კაპ.**

**ალმეზა** თუ თქვენ კბილები გტკივათ და საშუალება არა გაქვთ სისტემატიურად სპეციალისტ ექიმთან იწამლოთ, ამ შემთხვევაში საუკეთესო და ნამდვილი საშუალება კბილის ტკივილისაგან განთავისუფლდეთ—ბ. ალმეზას ელიქსირია—რომელიც ორ წუთში აყუჩებს კბილის ტკივილს, არჩენს ღრძილების ავადმყოფობას, აჩერებს სისხლს, ამაგრებს ღრძილებს და კბილებს და სამუდამოდ სპობს სუნს.

სანიმუშო შუშა ელექსირისა 40 კაპ., ჩვეულებრივი 1 მ. 20 კაპ.

**სიკვდილი ბაღლინჯოებს!** „კლოპოგინი“ უეცრად სპობს ბაღლინჯოებს და მთანახაზებს. ფასი თითო შუშისა 35 კაპეიკი.

იყიდება ფირმის წარმომადგენელ ი. გ. ახობაძესთან—ტფილისი, ნეკრასოვის ქ. N 14, ვორონცოვის ძეგლთან. ქალაქ გარეთ გაიგზავნება ფას დადებითაც და ღირებულების ერთი მესამედის გაგზავნითაც. აგრეთვე შეიძლება შეძენა ტფილისში აფთიაქის მაღაზიებში—ზურაბოვთან, გოლოვინის პროსპექტზე და ვორონცოვის ძეგლთან. ქუთაისში—კოკოჩევის აფთიაქის საქონლის საწყობში; ფოთში—საქალაქო აფთიაქში; ჭიათურაში—ჯანელიძის აფთიაქში; ბაქოში—გოცერიძესთან. (0—ზალ.—2)

# პროვოდნიკის



1897 წ.



1908 წ.

1888

# ამხანაგობა რიგაში

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.

**● იყიდება ნარდად და ცალობით: ●**

**რეზინის საეკიპაჟო შინები,**

**პნევმატიური ავტომობილის შინები „ალმაზი“ (წითელი),**

**პნევმატიური შინები ველოსიპედებისთვის,**

**მკვიდრ-რეზინის შინები ავტომობილებისა—ომნიბუსისთვის.**

„პროვოდნიკი“-ს ამხანაგობის შინები მრავალი წლის გამოცდილებით საუკეთესო შინებად არის მიჩნეული და ღირსებით აღემატება საზღვარ-გარეთის საუკეთესო ფაბრიკატებს, რასაც მოწმობს არა მარტო ის, რომ რუსეთის სახელმწიფოში ამ შინებზე დიდი მოთხოვნილებაა, არამედ ის, რომ აუარებელი და უმთავრესად საზღვარ-გარედ გადის.

# ცალობით ვაჭრობა ყველა-მიწაზე საუკეთესო კალოშების „პროვოდნიკი“-სა